ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ!

ᲡᲐᲥᲗᲝᲛᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№16 (608)
ოთხშაბათი
5 მაისი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘ

რეგიონების განახლების პროექტის პირველი ეტაპის ღირებულება 500 მილიონი ლარია

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲓᲐᲔᲧᲠᲓᲜᲝᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ

ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲛᲖᲔ

ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲦᲡᲒᲐ! ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ! ᲨᲔᲜ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲦᲡᲓᲒᲔᲑᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕ, ᲨᲔᲜ ᲕᲘᲜ ᲩᲐᲛᲝᲒᲬᲧᲜᲘᲡ ᲐᲛ ᲯᲕᲐᲠᲘᲓᲐᲜ, ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲐᲕᲘᲗ ᲯᲕᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲙᲠᲣᲚᲝ?

ᲪᲠᲣ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ
ᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ,
ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲛᲔᲠᲔ
ᲜᲐᲮᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ,
ᲜᲐᲪᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ
ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲢᲨᲘ
ᲨᲔᲕᲚᲔᲜ...

ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ
ᲕᲐᲢᲘᲙᲐᲜᲘᲡ „ᲕᲘᲠᲗᲮᲔᲑᲘ“

„ᲡᲐᲥᲗᲝᲛᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“ – ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲘᲡ

რედაქტორის სვეტი

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, კვირფასო მეგობრებო! ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

შენ როდის აღსდგები, საქართველოვ, შენ ვინ ჩამოგხსნის ამ ჯვარიდან, ქრისტესავით ჯვარზე გაკრულო?

ჯვარზე გაკრულის ძარცვა, ჯვარზე გაკრულის კორტნა და ჯიჯგვნა უფრო ადვილია, ამიტომაც ურჩევნიათ სვავებივით დასეულ შენს მტრებს ბორკილები გედოს და ჯვარზე ლურსმნებით იყო მიჭედილი — როცა გეგონა, რომ გეშველა და თავისუფლება გელირსა, სწორედ მაშინ გამზადებდნენ თურმე ახალი განსაცდელისთვის.

„განმათავისუფლებლებმა“ ერთი ძელიდან სანახევროდ ჩამოგხსნეს და მეორეზე მიგაჯაჭვეს.

ახლა ორ ძელზე ერთდროულად ხარ მიბმული და ერთნი აქეთ გექაჩებიან, მეორენი — იქით, შენ კი ნაწილ-ნაწილ გერღვევა სხეული და და მშველელი არავინ ჩანს.

მეგობარი რომ გეგონა, ისიც მტრის მხარეზეა თითქოს და გაიძულებს, მტერს მტერი არ დაუძახო, მტერს ზედმეტი სიტყვა არ უთხრა, სახლში შემოიყვანო, გულში ჩაიკრა და კოაბიტაციის უკულმა გაჭედილ „ხატზე“ ძმობა და მეგობრობა შეჰფიცო.

მერე რა, რომ ეს „მეგობარი“ ცხრა წელი გაუპატიურებდა, გკლავდა, გაყაჩაღებდა, დილეგში გაგდებდა, ქვეყანას გიყიდდა, ეს ყველაფერი უნდა დაივიწყო, ეს ყველაფერი უნდა აპატიო და ახალ-ახალი არჩევნები მანამდე უნდა ატარო, სანამ ეს მკვლელი და მოძალადე არ გაიმარჯვებს და კვლავ ხელისუფლებაში არ მოვა.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თუ 43%-ს ვერ აიღებთ, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს! — ასეთია ბრძანება, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს.

კი, მაგრამ, რა შუაშია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საპარლამენტო არჩევნებთან, რომელიც ერთი წლის წინათ ჩატარდა? ამ პრინციპით თუ ვიარეთ, ყველა არჩევნები ხელახლა არ იქნება ჩასატარებელი?

ამასაც რომ თავი დავანებოთ, რანაირი დემოკრატიაა ეს და, საერთოდ, რა კავშირი აქვს ამ ნონსენსს დემოკრატიასთან, რომლის სახელითაც ამ აბსურდს გვაძალებენ?

— დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ პოლიტპატიმრები ჟორიკა რურუა და ნიკანორ მელია, თორემ, ხომ ხედავთ, „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში არ შედისო, — ეს მეორე მოთხოვნაა, საიდანაც ერთი უკვე შევასრულეთ — „პოლიტპატიმარი“ ჟორიკა რურუა პრეზიდენტმა შეიწყალა, თუმცა, როგორც პრეზიდენტმა მიანიშნა, ნამდვილად არ უნდოდა ამის გაკეთება.

იმ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტი იძულებულია ის გააკეთოს, რაც არ უნდა, ცხადია, რაღაც ვერ არის რიგზე.

რაც შეეხება მეორე „პოლიტპატიმარს“ ნიკანორ მელიას, ზუსტად იდენტური საქციელისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეულობით ადგილობრივი „მელიების“ მთელი ბატალიონია დაპატიმრებული, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, მათთვის „პოლიტპატიმრის“ სტატუსი მიენიჭებინა და გაეთავისუფლებინა.

რაც აშშ-ში სისხლის სამართლის დანაშაულია (როგორც ამერიკელებმა უწოდეს, შინაური ტერორიზმია) საქართველოში რატომ არის პოლიტიკური მოტივით დევნა?

მთელმა მსოფლიომ ლაივში უყურა, როგორ მიჰქონდათ იერიში „შტურმავიკებს“ საქართველოს პარლამენტზე და როგორ „სარდლობდა“ ამ იერიშებს მელია, რომელიც ისეა გათავხედებული, რომ საკუთარი თავისთვის პერსონალურ ამნისტიას მოითხოვს, რომ საერთო ამნისტიით იმ პოლიციელების გათავისუფლებაც არ მოხდეს, რომლებიც პარლამენტის შენობას იცავდნენ და შტურმავიკებს შიგ შეჭრის უფლებას არ აძლევდნენ.

პარლამენტის, ანუ სახელმწიფოს დაცვა დანაშაულია და სახელმწიფოს წინააღმდეგ შტურმის მიტანა უწყინარი პატრიოტიზმია?

მართლაც ბნელა ამ ქვეყანაში?

ქრისტე აღსგა!

ის აღსდგა ჩვენთვის, რომ დედამიწაზე სიმართლეს, სიკეთეს, სათნოებას, სიყვარულს გაემარჯვა.

ქრისტე აღსგა, მაგრამ ქრისტესთვის წამებული საქართველო ისევ ჯვარზეა გაკრული და შინაურებიც და გარეულებიც ლურსმნებს მოარბენინებენ, რომ უფრო საიმედოდ, უფრო მყარად მიაჭედონ ჯვარზე.

უფალო, იხსენ ეს ქვეყანა, აკმარე ამდენი განსაცდელი და ტანჯვა-ვაება.

ვახტანგ ხარჩილავა

დავით გურამიშვილი

ვაი, რა კარგი საჩინო...

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ბოროტისაგან კეთილი
შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვნებელი შენ მათი
წამწყმენდლად მიგიჩნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ღვთის საიდუმლო გაგტეხეს,
გულში ვერ დაგიტიესო,
ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს,
ისიც კი განაბნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
შეგიპყრეს თვისი დამხსნელი,
საბელი მოგახვიესო;
მაგრა შეგიკრეს ხელები,
უფალსა არა გთნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ავაზაკზედა გაგცვალეს,
ბარაბა მათ ირჩიესო;
ურიგო სიტყვა შეგკადრეს,
გაგლანძღეს, გაგათრიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ფრჩხილთა გიყარეს ლერწამი,
ნუნები აგატკიესო,
ყვრიმალს გცეს
თვალებაკრულსა,
გკითხეს: ვინ გცემა, თქვი ესო?
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ბრალი ვერ გპოვეს, დაგსაჯეს,
პილატე მოგისიესო,
ბრალობის სისხლი თავზედა
შვილითურთ გარდინთხიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
ხელდაბანილთა შოლტით გცეს,
მსხვერპლს სისხლი შეურიესო;
დაგადგეს ეკლის გვირგვინი,
გოლგოთას მიგიწვიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
შესამოსელი გაგხადეს,
ქლამინდი მოგახვიესო!
ჯვარზედ გაგაკრეს,
ხელ-ფეხთა
ლურსმანი გაგიწიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
წყალი ითხოვე, მოგართვეს,
ძმარში ნაღველი რიესო;
წმინდასა შენსა საღმრთოსა
გვერდსა ლახვარი მიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
მოგკლეს უბრალო ბრალითა,
ქვეყანა შეარყიესო;
მზე დანაბნელეს, მთვარეცა,
ვარსკვლავნი დააფრქვიესო,
თავს კრეტსაბმელი განაპეს,
ბოლომდი შუა ხიესო.

ჯვარით გარდმოგხსნეს,
წაგგრაგნეს, ტილოში
წაგახვიესო,
დაგმარხეს, მკვდარსაც
არ გენდვნენ,
გარს მცველნი შემოგხვიესო;
ჰქმენ სულგრძელობა მათზედა
და დათმე შენ ჩვენთვის ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

ჰქმენ სულგრძელობა მათზედა
და დათმე შენ ჩვენთვის ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო
რა ავად მიგიჩნიესო!
არ ვიცი, რად ქნეს უგბილთა,
ავი რა შეგამჩნიესო?
მკვდარს აღუდგენდი,
კურნავდი კეთროვანს,
წყალმანკიერსო;
ბრმას თვალთ უხელდი,
ცისცისად არჩენდი ეშმაკიერსო.

უტყვს ენას სძღვნიდი,
ყრუს - სმენას, საპყართა -
სვლას მშვენიერსო,
პურს მცირეს დიდად,
წყალს ღვინოდ უქცევდი -
ჭამე, სვი ესო.
ამის მეტს არას ეტყოდი:
ესევდით ღმერთს ზეციერსო!
მშვიდად ცხოვრებდით,
ნუ უზამთ
ერთმანეთს თქვენ უდიერსო!

განიკითხევდით გლახაკთა,
ასმევ-აჭმევდით მშიერსო;
რასაც კეთილს იქმთ, ღმერთი
თქვენ მოგაგებთ მის მაგიერსო!
ორსავ გზას წრფელს
წინ უდებდი:
ხორციელს და სულიერსო.
ამის სანუფქოდ შენ მათა
სიკვდილსა შეგამთხვიესო!

ჰქმენ სულგრძელობა მათზედა
და დათმე შენ ჩვენთვის ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!
ქმენ სულგრძელება მათზედა
და დათმე შენ ჩვენთვის ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა,
უფალო იესო!



ერთადერთი ადგილი კავკასიაში, რომელსაც შეიძლება დასავლეთი დაეყრდნოს, საქართველოა

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი
რამაზ სამვარელიძე:

— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს?

— მე, მაინც მგონია, რომ ჩვენ, ყველაფერი არ ვიცით და არც უნდა ვიცოდეთ. პოლიტიკა სტრიპტიზი არ არის ანუ, აქ, განმსაზღვრელი არაა ის, რომ ხალხს რაც შეიძლება ნაკლები რამ დაუმალო და ყველაფერი ღიად წარმოაჩინო. ამ ფრაზას მკითხველისგან შეიძლება უკმაყოფილო რეაქციები მოჰყვეს. ამიტომ, დასასაბუთებლად ერთ მაგალითს მოვიყვან: კარიბის კრიზისი რომ შეიქმნა, მის მოგვარებას ცდილობდნენ და ასეც, მოხდა. ამერიკულმა ელიტამ განაცხადა: კიდევ კარგი ამ პროცესში მასმედია არ იყო ჩართული და საზოგადოებამ არაფერი იცოდაო. ანუ, ეს ურთულესი ეტაპი ამერიკულმა საზოგადოებამ ისე გაიარა, რომ ხელისუფლებამ საკითხი მისი მონაწილეობის გარეშე გადაწყვიტა. კიდევ კარგი ასე მოხდა იმიტომ, რომ საზოგადოებას რომ სცოდნოდა ამერიკა რა საფრთხის წინაშე იყო, ომი, აუცილებლად, დაიწყებოდა. ფსიქოლოგიაში ცნობილია ჯგუფური ინტელექტი. ის არ იძლევა გარანტიას, რომ ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სწორი იქნება. მაგრამ იმის გარანტიას კი იძლევა, რომ ეს გადაწყვეტილება იქნება ან რადიკალურად დამფრთხალი ან გამბედავი. სწორედ ამაშია საფრთხე — როცა პროცესში მთელი საზოგადოება ერთვება, ზომიერი ნაბიჯის გადადგმის საშუალება აღარ არის. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკას ჩვენგან არ ესწავლება რა არის დემოკრატია. თუმცა, დემოკრატიას ისე თუ გავიგებთ, თითქოს, ყველა საკითხი ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, მაშინ შევეგუოთ იმასაც, რომ ეს გადაწყვეტილება, ყოველთვის, ქვეყნისთვის სასრგებლო არ იქნება. პირიქით, შეიძლება, ხშირად, დამღუპველიც იყოს. გავიხსენოთ, პირველი მსოფლიო ომის პიკი, როცა საზოგადოების ფართო ფენებს ომის პათეტიკა მოედო, ევროპის ქვეყნებში ზეიმი იყო — უხაროდათ, რომ ომში მიდიოდნენ, სადაც მილიონობით ადამიანი დაიღუპა. ასეთია ადამიანის ბუნება — იგი, ხშირად, ემოციურ გადაწყვეტილებას იღებს. ჩვენ ემოციურები ვართ და ეს, ყოველთვის, ხელსაყრელი არ არის. ამიტომ, მართებულია რიგ საკითხებთან მიმართებაში საქმის კურსში არ ვიყოთ და ხელისუფლებამ ეს ისე მოაგვაროს, რომ საზოგადოება ამაში ჩართული არ აღმოჩნდეს. ჩვენ, ახლა, ოპოზიციის ქცევაზე ვსაუბრობდით. არ გამოვრიცხავ, ოპოზიციის ქცევის უკან სხვა მექანიზმები იყოს. კარგად ვნახეთ, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება ევროპის ინტერესებში შედის. ჩვენმა ქვეყანამ ბევრი რამ გამოიარა: სამოქალაქო ომი, ეთნოკონფლიქტები და მაშინ ევროპა არც განძრეულა. დღეს, ევროპა ფასილიტატორობს: არიქა, ოპოზიცია პარლამენტში შევიდესო. რატომ, რა მოხდა ასეთი? — თქვენ, გლობალურ პოლიტიკაზე მიუთითეთ და მეც აქეთ წავიყვან საუბარს. ერთ-ერთი მიზეზი დასავლეთის გააქტიურების ის გახლავთ, რომ მსოფლიო რუკაზე ევროპის პოლიტიკური ცხოვრებისთვის მძიმე, პრობლემურ წერტილად გაჩნდა კავკასია. მით უმეტეს, მას მერე, რაც კავკასიაში სომხეთსა და აზერბაიჯანელებს შორის კონფლიქტი რუსეთმა ისე „მოაგვარა“, რომ ერთგანაც და მეორეგანაც თავისი ჯარი ჩააყენა. პრაქტიკულად, აქ, რუსეთი გახდა თავისი პოლიტიკის გამტარებელი. ადრე, ვხედავდით, რომ სომხეთთან ურთიერთობას, დასავლეთი, სიფრთხილით ეკიდებოდა. იმიტომ, რომ სომხეთი რუსული პოლიტიკის გამტარებელი იყო. ანალოგიური მდგომარეობა, დღეს, დასავლეთში შეიქმნა აზერბაიჯანთან მიმართებაშიც. ასე, რომ ერთადერთი ადგილი კავკასიაში, რომელსაც დასავლეთი შეიძლება დაეყრდნოს, საქართველოა. ამას ვამბობ არამხოლოდ სამხრეთ-კავკასიის კუთხით, არამედ იმ მასშტაბით, რომ დასავლეთისთვის ძალიან სანდო პარტნიორი არც თურქეთია და შავი ზღვისპირა ქვეყნებიდანაც სანდო პარტნიორები ცოტაა. შესაბამისად, მას სჭირდება ისეთი ადგილი, სადაც შეძლებს შავ ზღვაში ფეხი მოიკიდოს და სადაც უცხოური გემების ყოფნა ლიმიტირებულია. უშუალოდ, ზღვას ვგულისხმობ, თორემ ნავსადგურში პრობლემა არაა. ამდენად, ნავსადგურის პრობლემა ამერიკას დაუდგა. ამიტომაც იყო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ასე ყურადღებიანი ანაკლიის პორტის მიმართ. დიახ, ამიტომ დაინიშნა საქართველოში ელჩად ძალიან დიდი და სერიოზული გამოცდილების მქონე კელი დეგნანი. მისი გამოცდილება უკავშირდება ისევ და ისევ საზღვაო სტრატეგიულ, დიპლომატიის საკითხებს. ეს რამოდენიმე ხაზი, იქამდე გამოიკვეთა, ვიდრე წინა პლანზე ყარაბაღის კონფლიქტი წამოვიდოდა. ყარაბაღის კონფლიქტმა რუსეთის ახალი პოლიტიკური განაცხადი თვალსაჩინო გახადა. დასავლეთმა ჩვენს ოპოზიციას არაერთხელ უთხრა: თქვენ, რუსეთის საქმეს აკეთებთო. თან, ღიად თქვეს, არ ყოფილა დიპლომატიური რევერანსები. თითქმის, დარწმუნებული ვარ, რომ საჯაროდ ასეთი განცხადების გაკეთება

დასავლეთის დიპლომატების მიმართ უნდა გულისხმობდეს იმას, რომ არასაჯარო, კულუარული დიპლომატიის ნაბიჯები კიდევ უფრო ინტენსიური იქნებოდა. მათ შორის, უპირველესად, „დემოკრატიის“ შუქურის მიმართ.

— ბატონო რამაზ, რა დგას აქაური პრო-დასავლური რიტორიკის უკან? დასავლეთმა მათი შუქურაც და „ნაცებიც“ საკმაოდ გაათამამა. კოაბიტაციის მეორე ტალღა ხომ არ გვიახლოვდება?

— ჩვენ, ხშირად ვმსჯელობთ დასავლეთზე ისე, როგორც ყველა პატარა ქვეყანა დიდ ქვეყანაზე. დასავლეთის სახით, გვეგულება ადგილი, სადაც უფრო მეტი იციან ვიდრე ჩვენ, უფრო მეტი შეუძლიათ, ვიდრე ჩვენ. ადრე ასეთი ადგილი მოსკოვი იყო. ნუ, ახლა, როგორც ვთქვი, დასავლეთი თავის ბრიუსელ-ვაშინგტონიანად. მაგრამ მოდით, დასავლეთს შევხედოთ როგორც ადამიანებს და მაშინ შესამჩნევი გახდება, რომ ევროპა არც თუ ისე ცოტა შეცდომებს უშვებს. დიახ, იგი საკმაოდ ბევრ შეცდომებს უშვებს. განა, ჩვენს მიმართ დაშვებულმა შეცდომამ არ დაგვაკარგინა აფხაზეთი და ოსეთი? დიახ, დასავლეთმა მიიჩნია, რომ რუსეთი ვერ გაბედავდა ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობა ეცნო, არადა, მან გაბედა. რაიმე, უფრო კონკრეტული გათვლა, არ ჰქონიათ. ასე, რომ დასავლეთიც ჩვეულებრივი ადამიანებისგან შემდგარი ერთობაა, ჩვეულებრივ, ადამიანურ შეცდომებს ისინიც უშვებენ, უბრალოდ, ეს შეცდომები უფრო დრამატულია, ვიდრე ჩვენი.

დასავლეთს, ყველაფერი, თავიდანვე რომ გაეთვალა, რა თქმა უნდა, იგი ასეთი მოულოდნელობების წინაშე არ აღმოჩნდებოდა. კიდევ უფრო მკვეთრ რამეს გეტყვით: დასავლეთს არც ის გაუთვლია, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა. სამხედრო ელიტაში, იგივე, ამერიკაში ზოგიერთი სამხედრო პირი „დისქავერში“ იხსენებდა: ჩვენ, ტელევიზორიდან გავიგეთ საბჭოთა კავშირი რომ დაიშალაო. იმიტომ, რომ დასავლეთს აწყობდა საბჭოთა კავშირის დასუსტება. რეიგანის სიტყვებს გაგახსენებთ: საბჭოთა კავშირს სუსტ კაპიტალისტურ ქვეყნად გადავაქცევო. მას არ უთქვამს: მოვსპობ და დავშლი საბჭოთა კავშირსო. ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის დაშლა მოულოდნელი იყო. სადაც საბჭოთა კავშირმა მათი მუდმივი მეტოქე ისე დაიშალა, რომ აზრზე არ იყვნენ და ეს სცენარი გათვლილიც არ ჰქონდათ, რატომ გვიკვირს, რომ სხვა სცენარებშიც ანალოგიური შეცდომები მოსდით. ეს ნუ გაგვიკვირდება.

— დასავლეთს, ჩვენთან დემოკრატიაც სხვაგვარად ესმის. შარლ მიშელი და სხვა ფასილიტატორები გვეუბნებიან: დემოკრატიული პროცესებისთვის, აუცილებელია, მელია ციხიდან გამოვიდესო. რა კავშირი აქვს ამ მოვლენას დემოკრატიასთან?

— ეს კითხვა, სრულიად კანონიერად, ხშირად ისმის, მაგრამ პასუხი ძნელია ისევ იქედან გამომდინარე, რომ დასავლეთს როგორც ადამიანებს ისე კი არ აღვიქვამთ, არამედ როგორც რაღაც ფორმულას. დასავლეთიდან უკვე გვითხრეს: ჩვენ, სტაბილური საქართველო გვჭირდებაო. მათი მიზანი, უპირველესად, სტაბილურობის მიღწევაა. დემოკრატიის მიმართულებით უამრავი მიღწევა გვაქვს, მაგრამ ამის გამო ნატოში ან ევროკავშირში არავინ შეგვიპატიჟებს, ხომ ასეა? ასე, რომ პოლიტიკისთვის დემოკრატიას აქვს მნიშვნელობა, ოღონდ არსებობს საკუთრივ პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხები: საიდან მოდის, რა ტიპისაა, რამდენად გაიზრდება ამა თუ იმ ნაბიჯით საფრთხე და ა.შ. ასევე, ვთქვათ, შეგიშვეს ნატოში, რას იზამს მერე რუსეთი, ეს იცის დასავლეთმა? — არ იცის, ხომ. თვითონ, რუსეთმა არ იცის, რას მოიმოქმედებს ამ შემთხვევაში. უბრალოდ, დასავლეთი ფრთხილობს, რათა მის მიერ გადადგმული ნაბიჯით გაუთვალისწინებელი პრობლემა არ გააჩინონ. მარტო იმის ძახილი: გვაქვს თუ არა აქ, დემოკრატია, არ კმარა. ევროპა გვეუბნება: თქვენ, თქვენს თავს მოუარეთ, ჩვენ, ჩვენსას მოვუვლითო. ხშირ შემთხვევაში დემოკრატია გადამწყვეტი არ არის. რეიგანზე უფრო დიდი პრეზიდენტი ამერიკას, ნამდვილად, არ ჰყოლია. მისი სიტყვებია ერთ-ერთ აზიურ მმართველზე: მამაძაღლია, მაგრამ ჩვენი მამაძაღლიაო. ეს სიტყვები დემოკრატიის გამოხატულებაა? რატომ ვითხოვთ დემოკრატიას? რატომ ვეკამათებით დასავლეთს — გინდა თუ არა დემოკრატია რატომ არ დაიცავიო? დასავლეთთან საკამათო გვაქვს შემდეგი: რატომ არ გათვალა ყველაფერი ბოლომდე. ანუ, იგი პოლიტიკას არაკვალიფიცირებულად მოექცა. თორემ, იმ საკითხებზე საუბარი, თუ სად აწყობთ დემოკრატიაზე ლაპარაკი და სად გაჩუმება ურჩევნიათ, ჩვენი საქმე არ არის.

თამარ შველიძე
555 23 28 24

განახლებული რეგიონები

წინა კვირის ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ძალიან კარგი პროგრამა წარმოადგინა. ეს არის ინიციატივა, რომლის თანახმადაც 63 მუნიციპალიტეტში უნდა დაიწყოს ურბანული განახლება, მნიშვნელოვანი კულტურული, ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაცია, ადმინისტრაციული ცენტრების რეაბილიტაცია, რეკრეაციული სივრცეების მოწყობა, პარკებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, საზოგადოებრივი ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა. პროგრამის ფარგლებში შეიქმნება ახალი დასასვენებელი, ტურისტული და საზოგადოებრივი ზონები.

მთავრობის მეთაურის თქმით, ქვეყნის რეგიონების თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა არის ძალიან მნიშვნელოვანი:

„ჩვენი მოქალაქეებისთვის ადგილზე ცხოვრების, შრომისა და, ზოგადად, განვითარების პირობების გაუჯობესება ყველგან, სახელმწიფოს მთავარი მიზანი უნდა გახდეს. რეგიონების განახლების პროექტის პირველი ეტაპის ღირებულება 500 მილიონი ლარია. ჩვენი ვარაუდით, შეიქმნება დაახლოებით 15 ათასი სამუშაო ადგილი. ყველა მუნიციპალიტეტში ივნისიდან დავიწყებთ მასშტაბურ სამუშაოებს“.

როგორც მოსალოდნელი იყო... როგორც წესია ჩვენში, უმალვე გამოჩნდნენ საზოგადოების ე.წ. წევრები, სამოქალაქო აქტივისტები, ე.წ. ოპოზიციონრები, ე.წ. ექსპერტები, „ყველაფერშიკები“, რომლებმაც ეგრევე დაიწუნეს იდეაც, ინიციატივაც, საქმეც და საერთოდ, მონახაზიც – რა დროს ეგ არიო? ვერ ხედავთ, გაგანია პანდემიაო? ეხლაო, ამ 500 მილიონიდან 300 მილიონს სახლში წაიღებენო. ასეთებს სხვა დროს რომ ჰკითხოთ, არც ვირუსი არსებობს, არც ვაქცინა, არც პანდემია და არც არაფერი. ახლა კი, როცა დასჭირდათ, რა დროს ეგ არი, ვერ ხედავთ, ხალხი შიმშილით იხოცება? ვერ ხედავთ, რუსთაველის გამზირზე გვამები რომ ყრია? ხალხს ისე უჭირს, ავტომობილებით ძლივსღა დაღოღავენ ცენტრალურ მაგისტრალებზე და სულ საცობებია. ჰოდა, როდესაც დედაქალაქში ამდენი საცობებია, რა დროს რეგიონებია და რა დროს მუნიციპალიტეტებია? რას ამბობს ირაკლი ღარიბაშვილი, დავსხდეთ და ასფალტი ვჭამოთ? ბეტონი ვჭამოთ? მეტლახი და ხის მასალა ვჭამოთ? საღებავი ვჭამოთ? რა დროს ტურიზმია? ჰა, გვიპასუხეთ, რა დროს ტურიზმია?!

მეგობრებო, სანამ იმის ახსნაზე გადავიდოდე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ 500 მილიონ ლარს ამ ეტაპზე ჩვენი რეგიონებისთვის, მანამდე შემოგთავაზებთ ჩვენებურ „ჭკუის კოლოფთა“ მოსაზრებებს ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივასთან დაკავშირებით (სტილი დაცულია):

„ძალიან ვბრაზდები, რატომ გვთვლის ყველა მთავრობა ასეთ უცოდინარ გოიმებად. თუმცა ფეისბუქზე გამოხმაურებებს ვკითხულობ და რა ვიცი, რა ვიცი... მთავრობის სხდომაზე დაანონსდა “ქვეყნის განახლების პროგრამა“, (მგონი ასე დაარქვეს) რომელიც თურმე ახლა იწყება. სინამდვილეში, საქმის თვალსაზრისით, არაფერი ახალი არ ხდება. ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის ყოველწლიური პროექტების ნაწილი, რომლებიც ბიუჯეტით ჯერ კიდევ შარშან დამტკიცდა, პიარულად ერთი სახელის ქვეშ გააერთიანეს, გვაცნობეს და მოგვახარეს, როგორც ახალი პროექტი. ესაა სულ, კაკაოა, გოიმებისათვის: თუ არ გჯერათ ნახეთ მგფ-ის წინა წლების ბიუჯეტებით განხორციელებული პროექტები, მერე წლევანდელი ბიუჯეტით დამტკიცებული პროექტები და შეადარე თ. რაღაც ახალი პროგრამა რომ დაწყებულიყო ამისთვის ბიუჯეტში დამატებითი თანხები უნდა გამოყოფილიყო და პარლამენტს ბიუჯეტში ცვლილებები უნდა შეეტანა. ანუ მუნიციპალური განვითარების ფონდი ჩვეულებრივად განახორციელებს უკვე დამტკიცებულ პროექტებს, (მათ შორის წინა წლებში დაწყებულ, ე.წ. გარდამავალ პროექტებს) სამაგიეროდ ტაში მთავრობას.

P.S. ჰო კიდევ, ჩვენო ძვირფასო პოლიტიკოსებო, ექსპერტებო და მოქალაქეებო. სანამ თვლით, რომ მთავრობა ინფლაციის, ეკონომიკის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის, ვაქცინაციის და კიდევ უამრავი სხვა გამოწვევაზე პასუხის გაცემის ნაცვლად თვითმმართველობების მაგივრად ხულოში, ონში, ასპინძაში თუ სხვა დასახლებებში სკვერების კეთებითა და სახლების რეაბილიტაციით უნდა დაკავდეს, სანამ ეს რეგიონებზე და ხალხზე ზრუნვა გგონიათ, ხბოს აღფრთოვანებას გამოვხატავთ, გვიხარია და ტაშს ვუკრავთ, სანამ ასე იოლად ვაცუცურაკებინებთ თავს, მანამდე ვიცხოვრებთ ასეთ უკუღმართ ქვეყანაში“.

იცით, ვის ეკუთვნის ეს უიმედო წერილი? ირაკლი მელაშვილს, რომელიც ადრე, უხსოვარ დროში არა მხოლოდ პარლამენტის წევრი იყო, არამედ, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ მთავრობის კანცელარიის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითთმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსიც გახლდათ, ახლა კი თვითმმართველობის ექსპერტიც ჰქვია. მახსოვს, ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობისას ირაკლი რეგიონების მიმართულებით მუშაობდა, მაშინ მთავრობა არ იტყუებოდა, არც აფერისტობდა, თითოეულ „კაპეიკს“ ყაირათიანად ხარჯავდა და თქვენ წარმოიდგინეთ, მუნიციპალიტეტებში უაზრო სკვერების მოწყობით არ იყო დაკავებული. იცით, რატომ და რეიზა? იმიზა, რომ მაშინ ირაკლი მელაშვილი იქ იყო, მთავრობის ადმინისტრაციაში, იქ მუშაობდა, დეპარტამენტს ხელძღვანელობდა. წამოვიდა თუ არა იქიდან, დაატოვებინეს თუ არა ამოდენა თანამდებობა, ეგრევე ხიხიად გადაიქცა ყველაფერი და მას შემდეგ ყველა იტყუება. არა, განა რეგიონებში საქმეები არ არის გასაკეთებელი? განა გზა და კვალი არ არის გასაყვანი? ჰო, არის, მაგრამ აბა, ეს ხელისუფლება და მით უფრო ირაკლი ღარიბაშვილი რის გამკეთებელია? აი, ასე აზროვნებს ამ საზოგადოების ნაწილი, რომელსაც ოქროც კი ჟანგიან რკინად ეჩვენება.

სხვათა შორის, სოციალურ ქსელში ირაკლი მელაშვილსა და მოქალაქეებს შორის ასეთი ბაასი გაიმართა:

მოქალაქე: „ჩემი ნება რომ იყოს, ყოველ მუნიციპალიტეტს მათივე პროგრამების მიხედვით გამოვაშვებინებდი ობლიგაციებს მასეთი პროგრამებისათვის ამავე მუნიციპალიტეტებში პასუხისმგებლობით. მაგრამ ეს იმიტომ ვერ ხდება რომ მათ არც უფლებები აქვთ, არც ქონება და არ შემოსავლები. ბიუჯეტის ფულს კი მხოლოდ ბიუჯეტთან მიმსუნაგებულები დახერხავენ, ესაა და ეს“.

მოქალაქე:„63 მუნიციპალიტეტის “მასშტაბური განახლება“ 500 000 ლარად ძალიან სასწაული ამბავია, ამ ფასად ვაკეში ბინას ვერ იყიდი და ამათ 63 მუნიციპალიტეტში მოინდომეს რემონტი“.

ირაკლი მელაშვილი: „500 მილიონიო, ეკა. თუმცა ჩემთვის თანხა არაა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი. მთავრობის მიდგომა და საზოგადოების ნაწილის რეაქცია, “ვაი რა კარგიაა“.

მოქალაქე: „სორი, ღარიბაშვილს, 500 მილიონი ყოფილა“.

ამაზე უარესი მოსაზრებებიც არსებობს, მაგრამ აღარ მინდა, გადაგღალოთ და დრო ფუჭად გახარჯინოთ. საკუთარი თვალით ხედავთ, როგორი დიდაქტიკური დამოკიდებულება აქვთ ჩვენს მოქალაქეებსა თუ ე.წ. ექსპერტებს ნებისმიერი საკითხის მიმართ. არავითარი „მე ვფიქრობ“, არავითარი – „მე მიმაჩნია“, არავითარი – „ჩემი აზრია“, არავითარი – „იქნებ ასე სჯობდეს“... არა, ესენი ძაან პრინციპულები არიან, მათი სიტყვა კანონია, ჭეშმარიტებაა, მხოლოდ ისინი არიან ჭკვიანები, დანარჩენი საქართველო გამოდებილდა, ხელისუფლება ხომ საერთოდ... მხოლოდ ამათ შეუძლიათ ქვეყნის ხსნა, კრიზისიდან გამოყვანა, მორჩა, გათავდა, აგერ, ერთი იძახის, რაიონებში ობლიგაციებს გამოვაშვებინებდიო, მეორე ნახევარ მილიარდსა და 50 ათასს ვერ არჩევს, მაგრამ მაინც მსჯელობს, განიცდის, ამტკიცებს. მანამდე ისიც ღიზიანდება, მელაშვილი, მეო, საზოგადოების ნაწილის რეაქცია არ მომწონსო, რომ იძახიან, ვაი, რა კარგია, ეგ მაცოფებსო, მაგას ვერ ვიტანო იმიტომ, რომ ვიცი, გვატყუებენო, მაგ საქმეს ბიუჯეტში გაწერილი

თანხებით ისედაც გააკეთებენო. მოკლედ, არიან ადამიანები, რომლებმაც მართლა არაფერი უწყიან, მაგრამ მაინც ექსპერტობენ, მაინც ყველაფრისმცოდნეობენ, სხვისი დალაგებული არ მოსწონთ, სულ თვითონ უნდა ალაგონ. ვერ ალაგებენ, მაგრამ მაინც უნდა ალაგონ, თვითონ უნდა იტივტივონ. როცა იქ არიან, ხმას ვერ ამოიღებ, ეგრევე ჩაგქოლავენ, როცა წავლენ, ან გაუშვებენ, მერე თვითონვე გადადიან შეტევაზე, თურმე ყველაფერი ტყუილი ყოფილა, თურმე ყველა ტყუის, თურმე ყველა ცრუ და მავნეა მათ გარდა. მათ არ დააცადეს, სულ რაღაც ხუთი-ექვსი წელიწადი იყვნენ მთავრობაში, თორემ მთებს გადადგამდნენ და შემდეგ გადმოდგამდნენ.

მოდით, ახლა იმაზე ვიმსჯელოთ, რა მნიშვნელობა აქვს რეგიონების განვითარებას ჩვენთვის: ადრე, ჩემს ყმაწვილობასა და სიჭაბუკეში ხსირად გამიგონია, ამერიკაშიო, სადაც უფრო მაგარი ცხოვრებაა, ქალაქსა და სოფელს შორის სხვაობა არ არიო... მაგალითად, ხალხი ვაშინგტონიდან ძაან მოშორებითა ცხოვრობს, სამი-ხუთი საათის სავალზე და არც არაფერიო, მშვენივრად არიანო. ცოტა მოგვიანებით ამერიკული ფილმებიც გახშირდა ჩვენში ინდურთან ერთად და ვნახეთ, რომ იქ არა მხოლოდ დიდ ქალაქებში, რეგიონებშიც მშვენიერი გზები იყო დაგებული და არც კანალიზაცია გახლდათ უცხო რამ, აღარაფერს ვამბობ სხვა სახის კომფორტზე.

ახლა მოგიყვებით ჩემი რაიონის (სიღნაღი) მაგალითზე: მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, სოფლებში ბევრი რამ გაკეთდა – დენი, გაზი, გზები, ქუჩების განათება, წყალი და ასე შემდეგ. ამჟამად ქიზიყში კეთდება მუდმივი წყალი, რაც ძალიან დიდი საჩუქარი იქნება ამ სოფლებისთვის. სხვათა შორის, აქ კეთილმოწყობილი გზები და წყალი სოციალიზმის პერიოდშიც კი ჭირდა. კომუნისტებმა ბოლო „გაფართხალებისას“ წყალმომარაგების საკითხი თითქოს მოაგვარეს, ლაგოდეხიდან დედოფლისწყარომდე სისტემა გაიყვანეს, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებიც მარაგდებოდა, მაგრამ როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, ყველაფერი ჯართში ჩაბარდა იმავე კომუნისტებისა თუ ძაან მაგარი „პატრიოტების“ ხელით. სხვათა შორის, ეს ძაან პატრიოტები დღესაც იჭაჭებიან ე.წ. ქართულ პოლიტიკაში და ამტკიცებენ, რომ მათი მიზანია ევროკავშირში შესვლა, ევროპული ღირებულებების დანერგვა და ცივილიზებული საზოგადოების შექმნა. რამდენიმე დღის წინ ციხიდან გამოსული გიორგი (ჟორიკა) რურუას ინტერვიუს ფრაგმენტი ამომიგდო „გუგლმა“ და ბევრი ვიცინე... ისაო, ჩვენ უნდა შევქმნათ ცივილიზებული საზოგადოებაო, ჩვენ, ცივილიზებულადმოაზროვნეებმა უნდა გადავარჩინოთ ეს ქვეყანაო. ნინო ბურჯანაძეც იგივეს ამბობს, კაკოიე ბობოხიძეც იგივეს ამბობს... რომელი ერთი ჩამოვთვალო? „წიოწია“ ნინას მამას კი იცნობთ ყველა, რაიკომის ყოფილ მდივანს და ბაღლინჯოიანი პურის მაგნატს... კაკოიე კახეთის დამაწიოკებლის სიძე გახლავთ და თვითონაც „მხედრიონის“ კალთას იყო შეფარებული, ავტომატით გადი-გამოდიოდა გაღმა-გამოღმა. რურუებზე რაღა გითხრათ? მაგათ საგმირო საქმეებზე ბევრი დაიწერა და კიდევ ბევრი დაიწერება. სიტყვა გამიგრძელდა... მე იმის თქმა მინდოდა, რომ ესენი უბრალო ავაზაკები არიან... არა, უბრალო ავაზაკები არა, საშიში გარეწრები! რა ევროპული ღირებულებები, რომელი დემოკრატია და სადაური სინდის-ნამუსი? ესენი ისინი არიან, მიწიდან მილებს რომ



თხრიდნენ და თურქეთში ჯართად გაჰქონდათ. გაიგონეთ? ამათთვის საქართველო ჯართია, რომელიც თავის დროზე დაჭრეს, დაანაწევრეს და საზღვარგარეთ გაიტანეს. კომუნისტების დროს მთელი ალაზნის ველი ირწყვებოდა, უნიკალური სისტემა იყო აწყობილი, ისიც დაჭრეს და გაიტანეს. ახლაც ჯართია საქართველო ამათთვის, ამიტომ ეპოტინებიან ხელისუფლებას დემოკრატიის სახელით. მაგას ვეღარ მოესწრებიან, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ვერ მოესწრონ, მაგრამ თუ მაინც მოხდა „ჩეპე“, იცოდეთ, ისევ დაჭრიან საქართველოს, ისევ დაანაწევრებენ, როგორც 2012 წლამდე ანაწევრებდნენ, ჰყიდდნენ, აჩუქებდნენ და მილიარდებს იჯიბავდნენ.

დავუბრუნდეთ ძირითად თემას... რა იყო ჩვენში, როგორი სხვაობა იყო ქალაქსა და სოფელს შორის? ჩვენში სოფელი გაიგივებული იყო და ნაწილობრივ დღესაც არის ტალახთან, ჭუჭყთან, „კალოშებთან“, ჩამორჩენილობასთან, პროვინციალიზმთან და ასე შემდეგ. ადრე, ჩემი ყმაწვილობის პერიოდში რამდენიმე ოჯახს დასცინოდნენ ხოლმე, ტუალეტები სახლებში აქვთო, კაცოოო... გაიგონეთო? სახლში უბორნია ვის გაუგონიაო? კი, გასაგებია, რომ ჩვენ ყველანი სოფლებიდან მოვდივართ, ყველა გენიოსი სოფლიდან იყო, მაგრამ ჩემთვის და ალბათ ქვენთვისაც დღემდე ამოუხსნელია, რატომ უნდა იყოს პროვინციაში ცხოვრება დაკავშირებული ტანჯვა-წამებასთან? არა, მესმის, რომ მიწასთან ჭიდილი, სოფლის მეურნეობა ცოტა სამძიმო საქმეა, მაგრამ დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებში ესეც იცვლება, ანუ ეს სიმძიმეც მსუბუქდება. რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარება იწვევს ინტერესს, რაკი ეს საქმე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაიძრა, უკვე გაჩნდა კერძო ინტერესი, ხალხი ამოძრავდა, შრომას ფასი დაედო, თუ მხართეძოზე არ ხარ წამოწოლილი, მშიერი არ იქნები. მაგალითად (ზემოთაც აღვნიშნე) ჩემ სოფელში (ჯუგაანი) და საერთოდ, კახეთში უკვე დაიგო გზები, განათდა ქუჩები, კეთდება წყალი, არის ინტერნეტი... ეს უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ ქალაქსა და სოფელს შორის ზღვარი წაიშალოს. ინტერნეტის პირობებში დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, სად იცხოვრებ, სადაც თავს კარგად იგრძნობ, შენი ცენტრი იქ იქნება. როდესაც სოფელში ჩავდივარ (კვირაგამოშვებით), აშკარად ვგრძნობ და ვხედავ ცვლილებებს, ადამიანები აშენებენ, მოქმედებენ, გუშინ რომ ნაგავსაყრელი იყო, დღეს ხეხილია, ბაღნარია, ვაზია, ბოსტანია და ეს ძალიან მახარებს. ამას წინებზე ერთ ნაცნობს მოვკარი თვალი, დაახლოებით ერთ ჰექტარზე ალუჩა გაუშენებია და ძაან მესიამოვნა, გადაპენტილი ბაღი მართლაც საამო სანახავი გახლდათ. შევაქე, საღოლ, მაგარია-მეთქი. თითქოს დაიბნა, ეუხერხულა, არ მოელოდა და იცით, რატომ? კაცი საქმეს აკეთებს და მოხარული ძალიან ცოტაა, ყველა იბღვირება, ყველა იბოღმება, ყველას გესლი გადმოსდის პირიდან. რა თქმა უნდა, არიან კეთილმოსურნეებიც, ღმერთმა ნუ ქნას, მთლად წყალმა წაგვიღოს, მაგრამ შური მაინც მძვინვარებს ამ ქვეყანაში, შური და ბოღმა.

ამ წერილს რომ ვწერდი, ერთი მცირე ვიდეო ვნახე, სირთაოზა ნიკოლოზ არაბიძეს, ვითომ რომ იუმორისტობს, „რუსთავორზე“ რომ დარჩა და ახლა „ჩაჯვივიზიაში“ გადასულა გვარამიასთან, თავისნაირივე, რამოდენიმეჯერ ნაკერავზე გახეული მიშა მშვილდაძე მიუწვევია და ღადაობენ: ჰა, ჰა, ჰა... მთავრობამ 500 მილიონი გამოყოვო... ჰა, ჰა, ჰა, ხუთასიდან სადღაც 150 მილიონი მივა ბოლომდეო... ჰა, ჰა, ჰა! მიხამ ფასადების ღებვა რომ დაიწყო მილიონებად და შენობები შიგნით დამპალი იყო, ეგ პერიოდი გამახსენდა. ჰა, ჰა, ჰა... მიშა მაგარიაო, კაცოოო, მაგარი კი არა, აფერისტია, ეგ ჩემისა! უგულავამ და მაგან მარჯანიშვილის გაშხირიც გააკეთეს, ვითომ გააკეთეს, გვეგონა, კაპიტალურად აკეთებდნენ, თურმე „გიფსო-კარდონი“ აუკვრიათ, მოვიდა წვიმა, დაალბო, ჩამოიხია და წაიღო წყალმა მილიონები. ჰა, ჰა, ჰა... ამაზე არ ღადაობენ, არც იმაზე, ტრაკგამორღვეული კეზერაშვილი 2008 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში მილიარდერი რომ გახდა, ამოდენა სამხედრო ტექნიკა და მიწები მიხასთან ერთად რუსებს რომ გადასცა. მარტო მიხა და ეგ იყვნენ? არა, თემურა ძიაც იქ იყო, ალასანია, მაგათი მთავარსარდალი. ამერიკელებმა და ევროპელებმა 4 მილიარდი დოლარი მოგვცეს, ეგეც გაიტანეს, წაიღეს, შეიტყაპუნეს. ამაზე არ იცინიან, ვერ ღადაობენ, რადგან სირთაოზა არაბიძე და ქლიავი მშვილდაძე იმ ფულიდან მიღებული პროცენტებით ფინანსდებიან. აბა, როგორ? აქედან წაღებული ფულით გახსნეს ტელევიზიები და გააასმაგეს ბიზნესები და იმ ფულით იბრძვიან ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. არ გამოუვათ, არა, გაცვდა და მიილია მაგათი დრო, გაუვიდა ყავლი მაგათ აზროვნებასაც და არსებობასაც.

და ბოლოს, მოკლედ და კონკრეტულად, რაში გვჭირდება 500 მილიონი ლარი? ჯერ ერთი, რეგიონებში ხალხს ნორმალური პირობები შეექმნება და მეორეც, ყველაზე მთავარი – უფრო მეტად გაჩნდება ინტერესი, 500 მილიონს რომ სახელმწიფო ჩადებს, ხუთ ამდენს კერძო პირები ჩადებენ და სოფელიც აშენდება, ოღონდ მართლა. ამ თემაზე საუბარს ამით არ ვამთავრებ, სალაპარაკო ბევრია, ჩვენ ხალხიც უნდა ვალაპარაკოთ, ეგრე ნამდვილად არ არი, როგორც ეს ბოროტმოქმედები ხატავენ, ხალხი ფიქრობს, ხალხი მუშაობს, ხალხს უკეთესი პირობები უნდა და იქნება კიდევაც. დიახ, იქნება!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გრიგოლ ლილუაშვილის ანგარიში პარლამენტში

(ფრაგმენტები მოხსენებიდან)

ცხინვალის რეგიონში ე.წ. მთავრობას, მეტწილად, მოსახლეობის დიდ ნაწილსაც არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ იმ საკითხზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისინი შეიძლება, გახდნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილი, პირიქით მათი ე.წ. მთავრობა ამ იდეას ახალისებს კიდეც. თუმცა განსხვავებული მიდგომები აქვს ე.წ. მთავრობასა და მის ხელმძღვანელს აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც ისინი ასე უპირობოდ არ უჭერენ მხარს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას...

...ძირეულად ვითარება არ შეცვლილა არც ერთ ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს ხელისუფლება დროებით ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს. გამოიკვეთა სამი ძირითადი პუნქტი, რასაც ახორციელებს რუსეთის ფედერაცია ოკუპაციის ფარგლებში, ეს არის პირველი — რუსული ანექსია და რაც შეიძლება უფრო მეტი ტერიტორიების მათი კონტროლის ქვეშ მოქცევა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ანექსიის პირობებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აძლევთ რუსულ მხარეს საშუალებას, რომ ეფექტური კონტროლის ქვეშ მოაქციონ არსებული დე-ფაქტო მთავრობები და მიაღებინონ მათ სასურველი გადაწყვეტილებები.

მეორე — ეს არის ჰიბრიდული ომის ფარგლებში წარმოებული პროცესი, რაც უკავშირდება უკანონო ბორდერიზაციას, უკანონო დაკავებებს და ყველა იმ ინციდენტს, რაც ხორციელდება, როგორც პირობითად გამყოფი ზოლის სიახლოვეს, ისე ოკუპირებული ტერიტორიების სიღრმეში.

მესამე – გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია, რომელსაც ჩვენ გამოწვევის მსგავსად ვუყურებთ, ეს არის მცდელობა რუსული მხარისა, რათა პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, გამოეთიშოს მოლაპარაკებების პროცესს, როგორც მხარე. **ძალიან პოპულარული გახდა ბოლო დროს საუბარი, რომ ჩვენ პირდაპირი დიალოგი უნდა ვაწარმოოთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან; რა თქმა უნდა, ეს უპირობოდ ასეა, ჩვენ მათ უნდა ვესაუბროთ, თუმცა ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ამ მოლაპარაკებებში არ შევრჩეთ ერთმანეთს და პასუხისმგებლობა არ აიცილოს ძალამ, რომელიც რეალურად ახორციელებს ეფექტურ კონტროლს ამ ტერიტორიებზე...**

...დეტალურად ვერ შევეხები იქ არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას. მოგახსენებთ, რომ ძალიან არასახარბიელო ვითარებაში იმყოფებიან ჩვენი ძმები და ჩვენი დები, ჩვენი მოქალაქეები გამყოფი ხაზის იქეთ. ეს აისახება მათზე ძალიან მძიმედ, თუმცა კვლავ რჩება ტაბუდადებულად თავისუფალი მიმოსვლის სრულად გახსნა განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონის მიმართებით. ნაწილობრივ თავისუფალი მიმოსვლა შეზღუდვებით და რუსული ძალის კონტროლის ქვეშ ხორციელდება აფხაზეთის მიმართულებით და ძირითადად ატარებს ჰუმანიტარული, სამედიცინო მიზნით ადამიანებს, ჩვენი მოქალაქეებს ენგურის ხიდზე...

...ჩვენს თანამოქალაქეებს არ ეძლევათ არც ერთი მიზნით გადმოსვლის საშუალება, მათ შორის არც ჰუმანიტარული, ჯანდაცვის და სხვა მიმართულებით. შესაბამისად, განწყობებიც მოსახლეობის, იქ მცხოვრები ადამიანების განწყობები, არ არის დადებითი იქ მოქმედი რეჟიმების მიმართებით, ისინი ითხოვენ მეტ თავისუფლებას, ისე, როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან ურთიერთობის, მოქალაქეებთან ურთიერთობის, ისე მეტ თავისუფლებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. თუმცა ჩვენ ამით არ უნდა შევიქმნათ ფსევდოილუზია, თითქოს რომელიმე რეგიონში მომწიფებულია განწყობები ისე, რომ გარანტირებულად შეგვეძლოს ეს განწყობები ჩვენს სასიკეთოდ გამოვიყენოთ. განსაკუთრებით ეს ცხინვალის რეგიონს ეტყობა, სადაც ე.წ. მთავრობას მეტწილად მოსახლეობის დიდ ნაწილსაც არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ იმ საკითხზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისინი, შეიძლება, გახდნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილი, პირიქით მათი ე.წ. მთავრობა ამ იდეას ახალისებს კიდეც, თუმცა განსხვავებული მიდგომები აქვს ე.წ. მთავრობასა და მის ხელმძღვანელს აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც ისინი ასე უპირობოდ არ უჭერენ მხარს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას. უფრო მეტიც, მათ გააჩნდათ სურვილი, რათა არ მომხდარიყო რუსეთის მხრიდან ძალიან მწვავე საკითხების წამოყენება, როგორც ულტიმატუმისა, იმის სანაცვლოდ, რომ გაჭირვებული ხალხის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხარჯზე მომხდარიყო რუსეთისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების თავს მოხვევა და შემდეგ მათი გადაწყვეტა. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ, პირველ რიგში, მათ აიძულებდნენ კანონში ცვლილებების შეტანას, რომელიც გაამარტივებდა აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭების საკითხს რუსეთის მოქალაქეებისადმი, ასევე მეტ თავისუფლებას მისცემდა რუსეთის მოქალაქეებს, შეეძინათ უძრავი ქონება და ინვესტიციები ჩაედოთ აფხაზეთის საკურორტო ზონებში. ზეწოლა დიდი იყო და საბოლოოდ, სამწუხაროდ, მოხდა მათი დათანხმება ამ საკითხებზე...

...კონტრტერორისტული საერთაშორისო კოალიციის ფარგლებში, ჩვენ ვართ ძალიან დიდი კონტრიბუტორები. არა მარტო ჩვენი სამსახური, არამედ, თავდაცვის ის შენაერთები, რომლებიც, უცხო ქვეყნებში მისიის ფარგლებში ემსახურებიან მშვიდობის დამყარებას...

...ჩვენი სამსახურის კონტრტერორისტული დანაყოფი ერთ-ერთი სამაგალითოა და ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა და ჩვენი სამსახური ხვდება ამერიკის შეერთებული შტატების წლიური ანგარიშის დადებითი შეფასების საკითხში.

ეს სასიხარულოა, როგორც ჩვენი სამსახურისთვის, ისე ჩვენი თითოეული თანამოქალაქისთვის რადგან ეს მიუთითებს იმაზე, რომ მაღალ დონეზე ხორციელდება, როგორც ტერორიზმთან დაკავშირებული პირების მიმართ კონტროლისა და დევნის განხორციელების პროცესი, ასევე მაქსიმალურად ეფექტურად კონტროლდება, მათი მხარდაჭერისათვის საჭირო ფინანსური ნაკადების კონტროლიც. 2020 წელს საქართველოში იმყოფებოდა საერთაშორისო შეფასების ჯგუფი, რომელთა შეფასებაზე მეტწილად იყო დამოკიდებული ევროკავშირის და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მიმართ განხორციელებული ყველა ქმედების შეფასება. ის შანსები, რაც ჩვენ ამ ორგანიზაციებში გაწევრებას უკავშირდება, შეფასების ჯგუფმა აღნიშნული დასკვნით და მხარდაჭერით, მეტწილად გაზარდა...

სხვადასხვა აქტორების მიერ მართული დეზინფორმაციული ომის შემთხვევებს, კამპანიებს ადგილი ჰქონდა ასევე საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების მიზნით, რათა მომხდარიყო ისედაც დაძაბული პოლიტიკური გარემოს პოლარიზება და რადიკალიზაცია...

...ეს არის ჩვეული მეთოდი, სხვათა შორის, ბოლოდროინდელი პრაქტიკით განმტკიცებული რუსული სპეცსამსახურების მხრიდან, რაც მათ აქტიურად გამოიყენეს არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპის ბევრ ქვეყანაში და ასევე გამოიყენეს აშშ-ის ტერიტორიაზეც. ასევე საინფორმაციო ომში მზარდ ტენდენციად გამოიკვეთა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები, მათ შორის ონლაინ-აპლიკაციები, რომელთა დაფიქსირებაც შევძელით, სადაც ხდება საზოგადოებრივ აზრზე განსაკუთრებული მანიპულაციის განხორციელების აშკარა მაგალითები, გვაქვს ეს სახეზე. ასევე, განვაგრძობდით პრევენციული ხასიათის მუშაობას საინფორმაციო ომის ფარგლებში უკვე საქართველოში მოქმედი აქტორების გამოვლენისა და მათი დაფინანსების წყაროების გადაკეტვის კუთხით, რაც მეტწილად გამოგვდიოდა და გამოგვივიდა...

...განსაკუთრებით მტკივნეული იყო დეზინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც პანდემიის პერიოდში ემსახურებოდა არა მარტო ძალოვანი სტრუქტურების, არამედ ზოგადად ხელისუფლების და საჯარო უწყებების მიმართ უნდობლობის გაჩენას. ეს ხშირად გამოიხატებოდა ე.წ. ექსპერტების მოსაზრებებში, მოწოდებებში. ამას, რა თქმა უნდა, მხარს უჭერდნენ ისევ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და მიზანმიმართულად ხდებოდა იმ პრევენციული ღონისძიებებისთვის ხელშეშლა და უნდობლობის გაჩენა, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ დაძაბავდა და გააუარესებდა გარემოს, როგორც პანდემიის მიმართულებით, ასევე უსაფრთხოების გარემოს და ასევე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ქვეყნისას. კარგად გახსოვთ ყველას, თუ რა საინფორმაციო ომი იყო გაჩაღებული რუსეთიდან მართული საინფორმაციო წყაროების მხრიდან ლუგარის ლაბორატორიის შესახებ, რა საშინელი სიცრუე ტირაჟირდებოდა მოსახლეობაში, თითქოს ლუგარის ლაბორატორიაში ხდებოდა აღნიშნული შტამების შემუშავება და შემდეგ მათი გამოცდა საქართველოს მოქალაქეებზე და მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ჩვენი თანამოქალაქეების წინააღმდეგ. დეზინფორმაციის ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს, უფრო სწორად მძლავრ იარაღს წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიები...

...ნომერ პირველ გამოწვევად არის და ამას ვერავინ შეეწინააღმდეგება ტექნოლოგიური მიღწევები, ვინაიდან განვითარება, პროგრესი გარდაუვალია, ჩვენ ამას მივესალმებით, თუმცა ამ ტექნოლოგიურ განვითარებებს თან მოჰყვება ახალი გამოწვევები, რომლითაც, ხშირ შემთხვევაში, ახდენენ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარემოზე ზემოქმედებას. არ დაგიმალავთ, ეს არის ახალი გამოწვევები, ეს არ არის კლასიკური გაგებით ტრადიციული გამოწვევები, შესაბამისად ამ ფონზე, ქვეყნის და ჩვენი სამსახურის წინაშე ძალიან აქტუალურ საკითხად რჩება კიბერ-უსაფრთხოების საკითხების მოგვარება, მოწესრიგება, რასაც ემსახურებოდა ბოლო პერიოდში, 2020 წლის განმავლობაში, მეცხრე მოწვევის პარლამენტის ფარგლებში დაინიცირებული ცვლილებების პაკეტი კანონში, რომელიც იმედი გვაქვს, თავის დადებით დასრულებას ჰპოვებს მეათე მოწვევის პარლამენტის ფარგლებში, რაც კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, რომ არის აუცილებელი, არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს წესრიგი ამ მიმართულებით, დაწესდეს აუცილებელი სტანდარტები, რომელიც უნდა დაიცვას როგორც საჯარო სამსახურებმა, ისე კერძო სექტორის იურიდიულმა თუ ფიზიკურმა პირებმა, ბანკებმა და ა.შ. და უმორჩილესად გთხოვთ თითოეულ დეპუტატს, გაითვალისწინოთ, რომ ეს საკითხი ჩვენთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი...

კრიზისი კი არ დამთავრდა, კრიზისი მერე ნახეთ თქვენ, ნაცები რომ პარლამეტში შევლენ...

თუ ქართველი ნიკა მელია უნდა გათავისუფლდეს, მაშინ უნდა გათავისუფლდეს 500 ამერიკელი „ნიკა მელიაც“ რომლებმაც კაპიტოლიუმზე შტურმი მიიტანეს

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ. პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, ოპოზიციის ექვსთვიანი ბოიკოტი დასრულდა. მალე პარლამენტში, ალბათ, „ნაცებსაც“ ვიხილავთ. რა ხდება, კრიზისი დასრულდა?

— მე, თუ მკითხავთ: კი არ დასრულდა, ახლა იწყება. გაუგებარია, რას ეძახდნენ ფასილიტატორები კრიზისს — ნარკომანები რომ არ შედიოდნენ პარლამენტში, კრიზისს ეს იწვევდა?! თუ დესტრუქციული საბოტაჟნიკები რომ არ ისხდნენ საპარლამენტო სკამებზე ეს იყო კრიზისი?! ყველამ ვიცით, რომ „ნაცები“ პარლამენტში შესვლით ქვეყნისთვის სასიკეთოს არაფერს გააკეთებენ. ხელისუფლებაში ნებისმიერი

სხვა ძალის ყოფნის შემთხვევაში, ისინი დესტრუქციულ ქმედებებს კვლავ გააგრძელებენ. მათი საქმე ეს არის, სხვა რა იციან? „ნაცების“ პარლამენტში არყოფნა ვინმესთვის დანაკლისია? პარლამენტში არშესვლის პოზაც ხომ თავად აირჩიეს, არავის დაუძალებია. როდემდე უნდა იყოს მათ გამო მთელი საქართველო შარში? ციხესთან კავშირები მაქვს, უვადო პატიმრები გაგიჟებულები არიან, სამი დღეა შიმშილობენ. მეც დამიკავშირდნენ: 2012 წელს რომ შეგვეხო ამნისტია, ჯერ არ აღსრულებულაო და ამ კრიმინალებს — რურუას, მელიას ისე მოარგეს ამნისტია და ციხიდან უშვებენ ვითომც არაფერიო. მეკითხებიან: ჩვენთან მიმართებაში რატომ არ სრულდება ამნისტიის კანონიო. ესენი კიდევ ამ დროს შარლ მიშელის დოკუმენტზე მსჯელობენ და ისე განიხილავენ ამას როგორც ბიბლიას. ვიმეორებ, ამათი პარლამენტში შესვლით, რურუების და მელიების ციხიდან გამოშვებით კრიზისი კი არ აღმოიფხვრება, აწი იწყება. ქართველი ხალხი გაგიჟებულია, ამ შედეგის შემხედვარე ერი ყალყზე დგას. კრიზისი ახლა რომ არის საზოგადოებასა და პოლიტიკურ ძალებს შორის, აქამდე, მსგავსი, არასდროს ყოფილა. ხელისუფლების მთავარ წყაროსთან — ხალხთან კონფლიქტი არაფერს ნიშნავს?

თურმე, ცოცხებით გამაუპატიურებლები პარლამენტში თბილ სავარძლებში თუ არ სხედან, ეს ყოფილა კრიზისი!

— ასე თუ გაგრძელდა, მალე, სააკაშვილსაც ჩამოიყვანენ.

— დიახ, აბსოლუტურად, შესაძლებელია სააკაშვილი საქართველოში შემოუშვან და მერე, ისიც შეიწყალონ. დასავლეთი იტყვის: კრიზისია და მოდი, სააკაშვილი შევიწყალოთო. იცით რა არის გამაოგნებელი? — მიშელის 5 პუნქტიანი შეთანხმების დოკუმენტში წერია: სასამართლო დამოუკიდებელი არ არის, ამიტომ, რეფორმაა ჩასატარებელი. საერთოდ, ოლიგარქიული მმართველობაა და ეს უნდა შეიცვალოსო. ამ დროს, სასამართლო, ერთი ან ორი მოსამართლე კი არა, მთელი პარლამენტი დაკვეთების შემსრულებლად აქციეს, ამნისტიის კანონი უნდა მიიღოთო. პრეზიდენტმა განაცხადა: ამ გადაწყვეტილებას, ჩემი ნების გარეშე ვღებულობო. დასავლეთმა საქართველოს კონსტიტუცია თავზე დაგვახია. ამაზე დიდი უბედურება და კრიზისი რა უნდა იყოს, როცა პარლამენტი სხვა ქვეყნის დაკვეთას ასრულებს. გამოჩნდა, რომ არცერთ მხარეს ამ კანონის მიღება არ უნდა, ეს დასავლეთის ბრძანებაა, რათა მელია რომელმაც გირაოს გადახდაზე უარი თქვა, ამნისტიის კანონით გარეთ გამოაბრძანონ. დასავლეთი იმასაც კრიზისს ეძახის, მელია სასამართლოს გადაწყვეტილებით დაპატიმრებული რომ არის. თუ სასამართლო გადაწყვეტილება სწორი არ იყო, სამართლებრივად ედავა თუნდაც, სტრასბურგში. თუ სასამართლო გადაწყვეტილება სწორი იყო, აბა, რა უნდა ექნათ, არ უნდა დაეპატიმრებინათ? მეტი კომფორტულად როგორ დაეკავებინათ, მისი დაპატიმრებისას ერთი ნაკაწრიც არ ჰქონია არავის. ვერ გავიგე, რა უნდა ექნათ სამართალდამცავებს, რას ითხოვენ? — ოფისში რატომ დააკავესო. დამნაშავეს ოფისში დაკავებდნენ თუ აბაზანაში, რა მნიშვნელობა ჰქონდა? — სადაც იყო, იქ, დააკავეს. იქნებ, ოფისიდან საერთოდ არ გამოდიოდა მთელი კვირა და სასამართლოს გადაწყვეტილება ერთი კვირა აღუსრულებელი უნდა დარჩენილიყო?

— ჩვენთან, შტურმში მონაწილე მელია გმირია და აშშ-ში კაპიტოლიუმზე თავდამსხმელები — ტერორისტები. ამ შემთხვევაში რასთან გვაქვს საქმე?

— დიახ, ჩვენთან ეს გმირობაა და იქ, ტერორიზმია. საქართველოს პარლამენტზე თავდასხმა პოლიტიკური აქტი ყოფილა, აშშ-ში იგივე ქმედება — შიდა ტერორიზმი. იქ, ამის გამო 500 კაცია დაპატიმრებული და 100-ზე მეტ პირს კიდევ უნდა წარედგინოს ბრალი. შტურმის დროს სამართალდამცავებმა ხუთი ადამიანი მოკლეს. ამის მიუხედავად სამართალდამცავებს მთელი ამერიკა კანონიერების სადარაჯოზე მდგარ გმირებად მოიხსენიებს. საქართველოს პარლამენტზე განხორციელებული მრავალსაათიანი შტურმის მონაწილეებს ჩვენი ამერიკელი და ევროპელი რეკომენდატორები პოლიტიკურ დევნილებად მოიხსენიებენ და გვირჩევენ ამ ფაქტს მიეცეს მხოლოდ პოლიტიკური და არა სამართლებრივი შეფასება. ლოგიკურად გამოდის, რომ დღეს აშშ-ს 500-ზე მეტი ნიკა მელია ციხეში ჰყავს და კიდევ 100-ზე მეტს მსჯავრის დადებას უპირებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აშშ-ს და ევროკავშირის ელჩებს ვთავაზობ: ევროპარლამენტარებმა დაიწყონ თანხის შეგროვება, რათა მოხდეს ამერიკელი „შტურმავიკების“ გირაოს გზით გათავისუფლება. ამერიკელი ასეულობით დაჭრილი და ხუთი მოკლული „შტურმავიკიც“ დაზარალებულად სცნონ, ხოლო პოლიციელები მკვლელებად და მოძალადეებად. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს ორმაგ სტანდარტებს, მათაც უნდა იყვირონ: თავისუფლება 500 ამერიკელ ნიკა მელიას!!! ასეთი სტანდარტების პირობებში გეუბნებიან: საქართველოში პრო-რუსული პროპაგანდაა. ამაზე მეტი პრო-რუსული პროპაგანდა, რასაც დასავლეთი ამ ქვეყანაში აკეთებს, რაღა უნდა იყოს. დასავლეთს თუ ჰგონია 5%-იანი პარტიის გულის მოგება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე 95%-იანი ძალაუფლების წყარო — ქართველი ხალხი, ძალიან ცდება. მალე დაინახავენ შედეგს.

— გამოდის, დასავლეთი ჩვენს მიმართ საკმაო უპრინციპობას იჩენს?

— აქ, სიტყვის და აზრის გამოხატვის უფლება, თურმე, მხოლოდ აგენტურას აქვს და ისიც მათ აგენტურას, მათ მომხრეებს. დანარჩენ საზოგადოებას ვინც აგენტურა არ არის, არ აქვს უფლება აზრი გამოხატოს და ამაზე გვეუბნებიან: ეს არის დემოკრატიაო. შენ, მაგისთვის ხარ აქ, მოვლენილი, რომ არადემოკრატიულ და დიქტატორულ „ნაცებს“ დაუჭირო მხარი? რას ნიშნავს შუამავლობა, რომ პრეზიდენტი დააჩოქო და ციხიდან კრიმინალი გამოაშვებინო?! ეს არის დემოკრატია?

— რას ითხოვს დასავლეთი?

— ჩვენი მორჩილები იყავით, კოლონია ხართ და რასაც გიბრძანებთ გააკეთეთო. კოლონიაში რომ მდომებოდა ცხოვრება, ციხე-ციხე კი არ ვივლიდი. საბჭოთა პერიოდში უფრო უკეთეს პირობებში ვიყავი. დღეს, კოლონიად ვართ ქცეული და რასაც კოლონიზატორები გვიბრძანებენ, უნდა შევასრულოთ. ასეთი ღია დაკვეთები, არასდროს მინახავს. ამით რუსების საქმეს აკეთებენ იმიტომ, რომ ქართველ ხალხს დასავლეთს საშვილთაშვილოდ აზიზღებენ და აძულებენ. ღია ეთერში გვემუქრებიან: დაფინანსებას შეგიწყვიტავთო. შეგვიწყვიტონ, ბატონო. მონობის ფასად აღებული ფული ვის რაში სჭირდება? ერთი ქართველ ხალხს ჰკითხონ: თუ სჭირდებათ ასეთი ფინანსები. აი, ამაზე ჩაატარონ რეფერენდუმი: ასეთი პოლიტიკით მიღებული თანხები, საქართველოში ვის სჭირდება. რა უნდა დასავლეთსო, მეკითხებით. დასავლეთმა თავის დროზე ხელი შეუწყო ქართველი ნაცბოლშევიკების ჯერ რეანიმაციას და მერე, რეაბილიტაციას. ამის შედეგია, რომ დღეს დასავლეთის სახელით ხდება დამნაშავეების შეწყალებისათვის საქართველოს პრეზიდენტის იძულება, ამნისტიის მიღების მოთხოვნა სისხლის სამართლის დანაშაულში მხილებულ და პოლიტიკას თავშეფარებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ, ისეთი კანონების მიღების მოთხოვნა, რომელიც თვითონ დასავლური სამყაროსთვის წარმოუდგენელია, მაგრამ „პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან“ გამომდინარე ჩვენნაირი ქვეყნისთვის შესაძლებელია, რადგან ჩვენ ხომ მაინც ყველაფერს შევასრულებ თ. ასევე, დასავლურ ღირებულებებს მიეწერება პოლიტიკას თავშეფარებული კრიმინალების პარლამენტში შერეკვა.

რა დანაშაული აქვს ჩადენილი, მათთვის მნიშვნელობა არ აქვს — ბიუჯეტი აქვს შეჭმული, პარლამენტზე შტურმი აქვს მიტანილი, ბიზნესი აქვს გაძარცვული თუ სხვა რამ, არ აინტერესებთ, მთავარია რომ კონკრეტული პირი მათიანია და უნდა გათავისუფლდეს. ისიც საკითხავია, ეს ხალხი მათიანია თუ არა. დასავლეთი სჯობს კარგად გაერკვეს: ვის საქმეს აკეთებს ის ხალხი, ვისაც ციხეებიდან უშვებს.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— ისეთი სიტუაციაა შექმნილი, ძნელია, რაიმე, გამოსავალზე ისაუბრო. მე არ ვიცი რას ფიქრობს დასავლეთი — ვისთან აქვს საქმე პაპუასებთან, ბანანის რესპუბლიკასთან, ვინ ვართ, საერთოდ, ჩვენ, ასე რომ გვექცევიან?!

დიახ, იმის ნაცვლად, რომ ციხეში შეერეკათ კრიმინალები პარლამენტში შესთავაზეს თბილი სავარძლები. კრიზისი აწი ნახეთ „ნაცებიც“ რომ შევლენ და დაიწყება დემარშები და სხდომების ჩაშლები. ესენი სანამ რევოლუციას და ძალაუფლების უზურპაციას არ მოახდენენ, მანამ სულ ამ რეჟიმში იქნებიან. ასეთ დესტრუქციულ, რევანშისტულ ძალას კიდევ ტრიბუნის მიცემა სჭირდებოდა?

— არავინ უფიქრდება, რომ ასე პარტიები კი არა, ქვეყანა ზარალდება?

— დიახ, პირდაპირ არყევენ ქვეყანას, რათა საბოლოოდ, მოანგრიონ მისი ფესვები. თანაც, სამშობლოს ნგრევას ვიღაც უცხო ქვეყნის მეშვეობით ახერხებენ. ბოლშევიკებს რა პოლიტიკაც ჰქონდათ, ესენი, აქ, იგივეს ემსახურებიან. დიახ, დასავლეთი ემსახურება ბოლშევიკურ აზროვნებას და არა დემოკრატიული და თავისუფალი სამყაროს აზროვნებას, ან იმას, რასაც საკუთარ ქვეყანაში ამკვიდრებენ. ბოლშევიზმს ამკვიდრებენ „მეწშევიკების“ სასარგებლოდ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

აღმოხდების მზე

გაზეთის ახალი ნომრისთვის ახალი წერილის დაწერას ვაპირებდი, მაგრამ ძველ წერილებს რომ გადავავლე თვალი, გადავიფიქრე — რასაც ათი-თხუთმეტი წლის წინათ ვწერდი, იმდენად ზუსტად მიესადაგება დღევანდელ დღეს, ახლის დაწერას რაღა აზრი აქვს?

ეს ამბავი კი იმის მიმანიშნებელია, რომ ამ ხნის განმავლობაში არაფერი შეცვლილა — თითქოს ჩაკეტილ წრეში ვტრიალებთ, საიდანაც გამოსავალს ვერ ვპოულობთ.

და მაინც, „აღმოხდების მზე და წარხდების მზე და უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდება“ (ეკლესიასტე. 1.6.).

საქართველოს მზეც აუცილებლად ამობრწყინდება და ამობრწყინდება იქიდან, საიდანაც ამობრწყინდებოდა ხოლმე — თავისი ქვეყნის ერთგული და თავდადებული მამულიშვილების გულებიდან.



ქართული იდეა

ხშირად ვსვამთ კითხვას: — როგორ გადარჩა ქართველი ერი, როდესაც ისტორიის ქარტეხილებმა პირისაგან მიწისა აღგავა მრავალი ერი, ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანი, გაცილებით ძლიერი და მონოლითური?

ამ კითხვაში გაოცებაც არის და გაკვირვებაც: — მართლაც რამ გადაგვარჩინა? როგორ მოვედით აქამდე? როგორ შევძელით დავსხლტომოდით ხელიდან ჩვენს გადანადგურებლად შემოსულ უზარმაზარ იმპერიებს?

ჰო, მაგრამ, ხმალი არც სხვა ერებს უჭრიდათ ჩვენზე ნაკლებად და ჩვენზე ნაკლები მეომრები არც ისინი ყოფილან, მაგრამ დღეს მათი სახსენებელიც აღარ არის.

ხმლით, შეიძლება, რაღაც ლოკალური პრობლემა გადაწყვიტო, მოიგო ესა თუ ის ბრძოლა, მაგრამ ხმლით და იარაღით დროს და ისტორიას ომს ვერ მოუგებ.

საქართველოს ზემოდან რომ დაჰყურებ, ოთხივე მხრიდან ჩაკეტილი გლადიატორების არენას ჰგავს, რაც თავისთავად გიკარნახებს ერთადერთ გადაწყვეტილებას — როგორმე მტერს უნდა სძლიო.

თითქოს განგებამ საგანგებოდ შეგვირჩია ასეთი ადგილი — ოთხივე მხრიდან დაგმანული სივრცე, სადაც უკან დასახევი გზა არ არსებობს.

ზოგიერთი ერივით თვალუწვდენელი სტეპები და ტრამალები არ გვქონია, რომ გაქცევით გვეშველა თავისთვის — ერთი ხელის დადება სივრცეში ვიყავით ჩაკეტილები და გასაქანი არ გვქონდა — ან აქ უნდა მოვმკვდარიყავით, ან აქ უნდა გადავრჩენილიყავით.

დიდგორის ომში უკან დასახევი გზა ჩაუხერგა ქართველებს დავით აღმაშენებელმა...

აღმაშენებელმა იცოდა, რასაც აკეთებდა...

ღმერთმაც იცოდა, რასაც აკეთებდა, როდესაც ოთხივე მხრიდან ჩახერგილი სივრცე გვარგუნა ასპარეზად...

და მაინც, რამ გადაგვარჩინა?

ვერ ვინარჩუნებდით ტერიტორიებს, ვერ ვინარჩუნებდით სახელმწიფოებრიობას, ვერ ვინარჩუნებდით დამოუკიდებლობას, მაგრამ ერი მაინც ინარჩუნებდა მეობას, ერი ერად რჩებოდა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერს გააჩნდა საყრდენი, რომელიც მატერიალური კი არა, სულიერი იყო და, ამდენად მიუწვდომელი განადგურებისთვის.

ყველაფერი შეიძლება დაანგრიო, რაც მატერიალურია — აუღებელი ციხე-კოშკი, მიუდგომელი ციტადელი, დუღაბით შეკრული გალავანი, მაგრამ სულიერ საყრდენს ვერ დაანგრევ, რადგან სულიერი საყრდენი სულშია, სული კი ქვემეხისთვის, ხმლისთვის, ბომბისთვის, დინამიტისთვის მიუწვდომელია.

ქართველი ერი სულიერმა „ციხე-კოშკმა“, სულიერმა ციტადელმა, სულიერმა გალავანმა, ანუ მართლმადიდებლობამ იხსნა განადგურებისაგან.



ქრისტიანული რელიგია, კერძოდ, მართლმადიდებლობა, ქართველი ხალხის ისტორიის და კულტურის ნაწილი კი არ არის, არამედ თავად გახლავთ ამ ისტორიის და კულტურის შემქმნელი.

ეს არის ის უიშვიათესი შემთხვევა, როდესაც რელიგია ისე ჩაეზრდება ერის გენეტიკურ კოდს, ისე გაიშლება ერის ხასიათსა და ცხოვრების წესში, რომ ამ ერისა და რელიგიის ერთმანეთისგან განცალკევება შეუძლებელია.

„ქართული ეროვნული მოძრაობა თავისი საწყისებით მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან და ეკლესიურ წიაღთან, თავისი შინაგანი არსით ეს რელიგიურ-ეროვნული მოძრაობაა, რამდენადაც იგი გულისხმობს არა მარტო განკერძოებული ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას, რელიგიურ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით“, — ეს სიტყვები ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამიდანაა.

არა მხოლოდ პიროვნულად ერთ პოლიტიკურ ლიდერს, არამედ, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ კონცეფციას დაუჭირა მხარი ქართველმა ხალხმა.

ჩემი აზრით, სწორედ ეს კონცეფცია გახდა მიზეზთა მიზეზი იმ რეპლიკისა, რომელიც მსოფლიოს გლობალისტურ იმპერიად გარდაქმნის ცენტრალური შტაბიდან გაისმა: — თქვენ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავთ.

●

ვინ არიან მთავარი არქიტექტორები იმ სახელმწიფო შენობისა, რომელსაც დღეს ვაშენებთ?

ქართველები?

იქნებ, ქართველები მხოლოდ შეკვეთის შემსრულებლები ვართ, საპროექტო ნახაზები კი სხვებს ეკუთვნით და ისინი გვკარნახობენ, როგორ ამოვიყვანოთ კედლები, რა მივახატოთ ზედ, სად ჩავსვათ ფანჯარა, სად ჩავატანოთ კარი?

უცხოელი „პრარაბების“ დიდი ფუსფუსი და ფაციფუცია ქართული სახელმწიფოს სამშენებლო პოლიგონზე, მათი მითითებები და დირექტივები ისმის წამდაუწუმ.

თუ შევთანხმდებით, რომ სახელმწიფოს შენება არ არის მხოლოდ გზების გაყვანა, ინფრასტრუქტურების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, არამედ სახელმწიფო, პირველ ყოვლისა, გახლავთ სულიერ, კულტურულ, რელიგიურ ფასეულობათა საცავი, მაშინ ჩვენ სახელმწიფოს კი არა, ერთ დიდ სავჭრო და საცხოვრებელ კომპლექსს ვაშენებთ, რომლის მკვიდრებისთვის სულაც არ იქნება მთავარი, შეინარჩუნებენ თუ არა ეროვნულ სახეს და თვითმყოფადობას.

დღეს ამ მრავალფეროვანი ქართული ცივილიზაციის საძირკველზე აშენებული ქართული სახელმწიფოებრიობის დემონტაჟი მიმდინარეობს ისე, როგორც მიმდინარეობს საერთოდ ზოგადქრისტიანული კულტურის დემონტაჟი და ამ კულტურის ფსევდოკულტურით და ფსევდოღირებულებებით ჩანაცვლება.

●

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, თავის ხელისუფლებიან-ოპოზიციიანად, მართლაც რომ მოქმედებდეს ჭეშმარიტად ქრისტიანული ღირებულებებით, მაშინ ბევრი პრობლემატური საკითხი, რომლებზეც მწვავე დისკუსიები და დებატები იმართება ხოლმე, თავისთავად მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან, რადგან ამ საკითხებზე მართლმადიდებლობას გააჩნია ზუსტად ჩამოყალიბებული ფორმულირებები, რომლებიც, წესით და რიგით, საერთო უნდა იყოს მართლმადიდებელი ხელისუფლებისათვის და მართლმადიდებელი ოპოზიცონერებისთვისაც.

ის ერთადერთი საერთო ღირებულება, რომელიც არ ექვემდებარება კორექტირებას და რეზიზიას და რომელიც ქართულ სინამდვილეში უნდა აერთიანებდეს ყველას — ცენტრისტსაც და მემარცხენესაც, რადიკალსაც და მემარჯვენესაც, კონსერვატორსაც და სოციალისტსაც, არის მართლმადიდებლობა.

ქართული რეალობისთვის სხვა საერთო და გამაერთიანებელი ძალა, გარდა მართლმადიდებლობისა, გარდა ეკლესიისა, არ არსებობს.

ეკლესიაა ცენტრი, ეკლესიაა ორიენტირთა მთავარი განმსაზღვრელი, ხელისუფალთა თუ ჩვეულებრივ მოქალაქეთა ცხოვრების საერთო წესის დამდგენი.

ასე იყო დასაბამიდან, ასე უნდა იყოს დღესაც: ქართული სახელმწიფო ქართული ეკლესიის გარშემო უნდა შენდებოდეს.

●

არ მეგულება მსოფლიოში სხვა ერი, რომელსაც ქრისტიანობისთვის წამებული ამდენი მეფე-წმინდანი ჰყავდეს.

ქართველი მეფეები ერის ხსოვნას შემორჩნენ არა მხოლოდ მოგებული ომებით, არამედ, პირველყოვლისა, ღვთისმოსაობით, თავმდაბლობით, მოყვასისადმი სიყვარულით, მიმტევებლობით, შემწყნარებლობით, სამართლიანობით.

აღმაშენებელმა უკან დასახევი გზა ჩახერგაო, — ვთქვით ზემოთ.

ჩახერგილი გზები გაიხსნა და ქართველები თავქუდმოგლეჯილნი გარბიან საკუთარი სამშობლოდან, ანუ ბრძოლის ველიდან.

საერთო პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოს წინაშე ეგოიზმმა შეცვალა.

საქართველოდან ქართველთა დიდი გაქცევის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ქართველები გუმანით გრძნობენ, რომ ეს არ არის მათი სახელმწიფო, ხოლო, როცა ამას ხვდები, მოვალეობის და პასუხისმგებლობის ტვირთი გეხსნება მხრებიდან და გაქცევა გიადვილდება.

გაქცეულთა უკან დასაბრუნებელი გზაც ეკლესიაზე გადის და მადლით გასხივოსნებული ის გზაც, რომელმაც მომავლისკენ უნდა წაგვიყვანოს.

●

წარსული გვასწავლის, აწმყო კი გვცდის...

მასწავლებელი და ცოდნის მომცემი წარსულია, აწმყო — მკაცრი გამომცდელი.

ჩვენ დღეს ნაკლებად ვიხედებით უკან, არადა, უკან გახედვა ორი ნაბიჯით წინ გახედვაა.

არ არსებობს ახალი სახელმწიფოებრივი იდეალები, რადგან „არაფერია ახალი მზისქვეშეთში“.

არ არსებობს ახალი ქართული იდეა ახალი რედაქციითა და ვარიაციებით. ის ისევე უცვლელი და მარადიულია, როგორც მზე და როგორც ჟამი...

რამდენი პოლიტიკური და რელიგიურ-სეპარატისტული „რესპუბლიკაა“ საქართველოში?

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და ხელყოფა, რა თქმა უნდა, დიდი დანაშაულია, მაგრამ განა ნაკლები დანაშაულია ქვეყნის სულიერი მთლიანობის რღვევა და ხელყოფა?

სულებზე მონადირე ქურდბაცაცები მოედვნენ მთელ საქართველოს და მოსვენებას არ გვაძლევენ.

აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმზე ვლაპარაკობთ აღშფოთებით და ამ დროს „მშობლიური“, „ჩვენებური“ სეპარატისტი ქართველები გვავიწყდება იეღოველების, ორმოცდაათიანელების, ბაპტისტების, მუნისტების და სხვათა და სხვათა სახელით ჩუმად და მშვიდად რომ ანგრევენ საქართველოს.

მიტაცებულ მიწებს ადრე თუ გვიან დავიბრუნებთ, მაგრამ დავიბრუნებთ კი ოდესმე მიტაცებულ სულებს?

საქართველოში დღეს ოფიციალურად არსებული ორი სეპარატისტული „რესპუბლიკის“ გარდა კიდევ რამდენიმე სეპარატისტული „რესპუბლიკა“ არსებობს — იეღოველთა, ბაპტისტთა, ორმოცდაათიანელთა, მუნისტთა და ა. შ.

დიახ, ესენი ნამდვილად ავტონომიური (სეპარატისტული) რესპუბლიკებია თავისი ავტონომიური ბიუჯეტით, მმართველობის დამოუკიდებელი სტრუქტურით, თავისი შიდა „კონსტიტუციით“, თავისი ადმინისტრაციული ცენტრებით და რეგიონული ოფისებით.

ვინ დამაჯერებს, რომ, ვთქვათ და, „იეღოველთა ავტონომიური რესპუბლიკა“, რომელსაც უზარმაზარი დაფინანსება და მხარდაჭერა აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, ნაკლებ სახიფათოა საქართველოსთვის, ვიდრე „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“, რომელმაც, რაც უნდა მოინდომოს, ქურთას და ერედვს ვერ გადმოსცდენია, ხოლო იეღოველთა ავტონომია მთელ საქართველოშია განფენილი და რელიგიური თავისუფლების მანდატით აღჭურვილს და დაცულს, თამამად შეუძლია მიუკაკუნოს ნებისმიერი ქართველისა კარს თბილისშიც და მცხეთაშიც, თელავშიც და ჩხოროწყუშიც.

„სამხრეთ ოსეთის“ „იურისდიქცია“ საზღვრად მონიშნულ რომელიღაც ღელესთან თუ ბუჩქთან მთავრდება, იეღოველთა „იურისდიქცია“ მთელ საქართველოზე ვრცელდება და მთელი სახელმწიფოს მასშტაბით ყველგან მიუწვდება ხელი.

მარიამ ცაცანაშვილის წიგნში „სახელმწიფო და რელიგია“ ვკითხულობთ: „იეღოველთა იდეოლოგია, ძირითადად, მიმართულია სახელმწიფო ინსტიტუტების უარყოფისკენ: არ მონაწილეობენ ხელისუფლების ორგანოთა არჩევნებში, თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს. სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად „იეღოვას მოწმეები“ უარყოფენ, აგრეთვე, ეკლესიას და მის ინსტიტუტებსაც. გაერთიანება მკაცრი სუბორდინაციით გამოირჩევა და ხელმძღვანელ პირთა შესახებ ინფორმაციები კონფიდენციალურია“.

ამის შემდეგ კიდევ იტყვის ვინმე, რომ იეღოველთა ავტონომიური რესპუბლიკა არ არსებობს?

არსებობს და თანაც ისე, რომ „რესპუბლიკის“ ხელმძღვანელ პირთა ვინაობასაც არ გვიმხელენ.

ნებისმიერი სახელმწიფოს ელჩი თუ კონსული მანამდე ვერ დაიწყებს ამა თუ იმ ქვეყანში მოღვაწეობას, სანამ ამ ქვეყნის ხელისუფლებას რწმუნებულების სიგელს არ წარუდგენს — იეღოველებზე, როგორც „რელიგიურ“(!) ორგანიზაციაზე, ეს არ ვრცელდება, მათი ხელმძღვანელი პირები გასაიდუმლოებულია და ეს პირები შეიძლება იყვნენ, ვინც გნებავთ — სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლები, კერძო ორგანიზაციების აგენტები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც შეთავსებით მუშაობენ უცხო ქვეყნების საიდუმლო სამსახურებში და ა. შ.

კი, მაგრამ, თუ ამგვარი ტიპის დახურული ორგანიზაცია რელიგიური ორგანიზაციაა, ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაცია სხვა რაღაა?

თუ ასეთი ორგანიზაცია სეპარატისტული არ არის, სეპარატიზმი სხვას რას ჰქვია, ნეტავ?

მეხუთე კოლონას ვეძებთ ხან სად და ხან სად — არადა, ასეთი ორგანიზაციები რით არ არის ნამდვილი მეხუთე კოლონები, უხვად დაფინანსებული, ერთ მძლავრ სტრუქტურად შეკრული, სახელმეიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ მიმართული, ეკლესიის უარმყოფელი, ქართველთყლაპია ურჩხული თავისი უამრავი საცეცით და სატყუარათი.

რამდენი ასეთი მეხუთე კოლონაა საქართველოში და რამდენი ქართველია მასში გაერთიანებული და საკუთარი სამშობლოს მოსაოხრებლად და მოსასპობად შემართული?

ბარემ ისიც ვიკითხოთ — რით არის ასეთი ქართველი ოს თუ აფხაზ სეპარატისტზე ნაკლები მტერი საქართველოსთვის?

დარწმუნებული ვარ, მოვა დრო, აფხაზთანაც და ოსთანაც აუცილებლად გამოვძებნით საერთო ენას, მაგრამ ეს ქართველი მანამ არ მოისვენებს, მანამ არ მოეშვება საქართველოს, სანამ საბოლოოდ არ დაანგრევს მას, რადგან სხვა, უკან დასახევი გზა არა აქვს და, რაც მთავარია, არა აქვს სამშობლო, სადაც შეეძლება დაბრუნდეს — სამშობლო თავად მას შემოეხარჯა და შემოეფლანგა.

აი, ეს, ეს ღმერთგამწყრალი ქართველი, რაღაცით ჰგავს გასული საუკუნის ოციანი წლების აქტივისტ კომკავშირელს, ზარებს რომ ხსნიდა სამრეკლოებიდან და ხატებზე ფეხს რომ ადგამდა, თუმცა რაღა ჰგავს — ეს ზუსტად ის კომკავშირელია, ოღონდ სახელი ჰქვია სხვა და სხვა ბანგით არის გამოთაყვანებული.

კომუნიზმსა და გლობალიზმს შორის არსებითი განსხვავება არ არის. ერთიც და მეორეც სხვა არაფერია, თუ არა კაცობრიობის ისტორიას უკურნებელ სენად ადევნებული მანიაკალური სწრაფვა მსოფლიოს ბატონობაზე, მსოფლიოს კონტროლზე, ამის მისაღწევად კი საჭიროა, ერებს და სახელმწიფოებს მოუშალო სულიერი ღირებულებები, ეროვნულ-კულტურული ფასეულობები.

პროცესი, რომელიც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს, ეს არის კულტურათა ასიმილაციის, ეროვნული თვითმყოფადობის მოშლის, ქვეყნის ეკონომიკური სიმძლავრეების გაპარტახების გზით მიზანში ამოღებული სახელმწიფოების ანექსია და გლობალური იმპერიის ნაწილად და დანამატად ქცევა.

ის, რაც ადრეულ საუკუნეებში კეთდებოდა უხეში, ძალისმიერი მეთოდებით, ომებითა და ლაშქრობებით, დღეს კეთდება ჩუმად, უხმაუროდ, პროფესიონალი ეკონომიკური მკვლელების მეშვეობით, საყოველთაო კეთილდღეობის, რელიგიური თავისუფლების და ადამიანთა უფლებების დაცვის მოტივით. ამ მიზნის განსახორციელებლად კი, მრავალ სხვა საშუალებებთან ერთად, რელიგიური სექტები ფრიად ეფექტური და ნაყოფიერი აღმოჩნდა.

რელიგიური სექტები — ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადასხმული იდეოლოგიური დესანტი, რომელიც წარმატებით ასრულებს დავალებას — ანგრევს, შლის, რყვნის, ეჭვს თესავს და სამოქმედო ასპარეზს უთავისუფლებს დამკვეთს მთავარი შეტევის წინ...

●

2007 წლის საშობაო ეპისტოლეში კათოლიკოს-პატრიარქი თითქოს აგრძელებს თვრამეტი წლის წინათ 9 აპრილის რიბირაბოზე წარმოთქმული სიტყვების შინაარსს და კვლავ არჩევანზე ლაპარაკობს: „ბეთლემში შობილი ყრმისკენ მიმავალი გზა ხსნილია ყველასთვის, ერთნი ცოდნისა და ინტელექტის, ანუ მოგვთა გზით მიდიან; სხვანი განსაცდელის და მწუხარების ბილიკს მიუყვებიან, მესამენი, მწყემსთა მსგავსად, თავმდაბლობით და ლოცვით მიემართებიან. რა თქმა უნდა, არსებობს სხვა გზებიც.

საზოგადოების ნაწილი კი საპირისპირო მიმართულებით მიდის და ბნელეთისკენ მიექანება, თუმცა ამას თავიდან თითქმის არავინ აცნობიერებს, რადგან ეშმაკი ათასგვარი საცთურით აბრუებს ადამიანებს და ცოდვის ჭაობში ღრმად ითრევს“.

მე მეჩვენება, რომ ოთხმოცდაცხრა წლის 9 აპრილს მტკიცედ ნათქვამი „არა“-ს შემდეგ არა მარტო საზოგადოების ნაწილი, არამედ, საერთოდ, მთელი ქვეყანა საპირისპირო მიმართულებით მიდის, მიდის იქითკენ, სადაც არ არის სინათლე, არ არის სიყვარული, არ არის თანაგრძნობა.

ამ ხნის განმავლობაში ვერა და ვერ მოხერხდა საპირისპირო მიმართულებით მიმავალი ქვეყნის შემობრუნება. იმ დროს აღებული ინერცია ისეთი მძლავრი აღმოჩნდა, რომ ვერ ვჩერდებით და ნგრევის ექსტაზს ვერ ვიოკებთ. სიბნელისკენ და უფსკრულისკენ კი არ მივექანებით, უკვე იქ ვართ.

ასე მგონია, იმ ერთმა „არა“-მ გადაწყვიტა ყველაფერი, იმ ერთმა „არა“-მ მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომელშიც დღეს ვიმყოფებით...

რელიგიურ სექტებზე ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, სექტებია და თავიანთი მუშაობის პრინციპებით დიდად არაფრით განსხვავდებიან „იეღოველთა“, „ბაპტისტთა“, „ორმოცდაათიანელთა“ თუ „სუბოტნიკთა“ სექტებისგან.

საქართველოში ორასამდე პოლიტიკური ორგანიზაციაა, მაგრამ ეს ორასი განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმა კი არა, ორასი ამბიციაა, ორასი „ავტონომიაა“, თავისი ბელადებით.

ისინიც, რელიგიური სექტების მსგავსად, ადამიანთა სულებზე ნადირობენ...

მამაცი ალეკო

პატრიოტული ნოველა



„ყოველი ძილის წინ, უსინდისო ვიყო, ღმერთმა მაინც იცის დანამდვილებით, რომ ყოველი ძილის წინ ვარ კრწანისის ბრძოლაში, ბოლო ეპიზოდი რომაა, მესამე დღე, ერეკლეს ჯარი რომ ტყდება და ვეღარ უძლებს, რეზერვი აღარ ჰყოფნის, სანამ 300 არაგველი შემოვა, მანამდე „დეშეკათი“ მივდივარ, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით, ყველაზე მეტად როცა უჭირს ერეკლეს, მაშინ გადავტენი ხოლმე და ბალახებივით ვთიბავ სპარსელების ჯარს“, – ამის შესახებ დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა გადაცემაში – „ნოესთან“ ისაუბრა (ტელეკომპანია„ იმედი”).

●

1795 წელი. ბრძოლა ქართლ-კახეთისა და სპარსეთის ლაშქარს შორის თბილისთან, კრწანისის ველზე. აღა-მაჰმად ხანმა თავისი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ერეკლე მეორეს ქართლ-კახეთის სამეფოზე სპარსეთის ბატონობის აღდგენა და რუსეთთან კავშირის გაწყვეტა მოსთხოვა. გეორგიევსკის ტრაქტატის ერთგული ერეკლე რუსეთის მეფეს დახმარებას სთხოვდა. სექტემბრის დასაწყისში აღა-მაჰმად ხანი 35-ათასიანი ჯარით საქართველოსკენ გამოემართა, 8 სექტემბერს სოღანლუღ-იაღლუჯის ჩრდილოეთ კალთებსა და კუმისის ტბას შორის, სარვანის მინდორზე დაბანაკდა. ქართველთა ლაშქარი 5 ათასამდე კაცს ითვლიდა, აქედან 2 ათასი იმერეთის სამეფოდან იყო, სოლომონ მეორე მეთაურობდა.

●

9 სექტემბრის დილას, სანამ მზე შუბის ტარზე ამოიწვერებოდა, ალიკო მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით ორჯერ გადავიდა იერიშზე. მან მტერი ორჯერვე ახლოს მოუშვა, შემდეგ კი ერთბაშად ცეცხლითა და მახვილით უკუაქცია.

10 სექტემბერს სპარსელები მიხვდნენ, რომ ალიკოსთან თამაში ცეცხლთან თამაში იყო, ის სოღანლუღის მხრიდან თბილისში არ შეუშვებდა და ამიტომ სომეხი მელიქების რჩევით გადაწყვიტეს, თელეთიდან შინდის-ტაბახმელისკენ ასულიყვნენ და იქიდან დაშვებულიყვნენ კრწანისის ველზე, საიდანაც უფრო იოლად მოადგებოდნენ თბილისს. ამ გზით თაბორის ქედიდანაც შეიძლებოდა პირდაპირ აბანოთუბანში დაშვება, მაგრამ იქ ალიკოს ერთგული თანამებრძოლი ლევან იოსელიანი იყო გამაგრებული თავისი რაზმით, ირანელები დიდ ჯახს მოერიდნენ.

10 სექტემბერს, ერეკლეს ბრძანებით ბრძოლას დავით ბატონიშვილი სარდლობდა, ხოლო მის პირველ მოადგილედ ალიკო ელისაშვილი დაინიშნა.

ერეკლე მეორეს ხელში ჭოგრიტი მოემარჯვებინა და ფრონტის ხაზს გაჰყურებდა.

– მეფეო, მომეცი ჭოგრიტი, მე შენთან შედარებით მაღალი ვარ, უკეთესად დავინახავ ფრონტის ხაზს, უმალ მოგახსენებთ, რასაც კი შევნიშნავ, არარაის დამმალავი არ ვარ, ღმერთი ნუ გამიწყრება, ჩემმა მზემ, – მიმართა ალიკომ ერეკლეს და თავი ჩაჰკიდა.

ერეკლემ ჭოგრიტი ნელა დაუშვა, ირგვლივ მიმოიხედა, უკან ზომაზე მეტად აყლარწული ჭაბუკი წამომდგარიყო.

– ალიკო, მე აღფრთოვანებული ვარ შენი სიმამაცით... ხან გაოცებასაც ვერ ვმალავ, მტრის რიგებს რომ თიბავ, მაგრამ კარგად დაიმახსოვრე, შენ ჩემთან შედარებით უბრალოდ გრძელი ხარ და არა მაღალი! – მიუგო ერეკლე მეორემ და ჭოგრიტი ისევ მოიმარჯვა.

– ჰო, დიდო მეფეო, თქვენზე მაღალი არავინ სუფევს ცის კამარაზე! – გაიჯგიმა ალიკო.

– რა ცის კამარაზე, ბიჭო, ჩიტი ვარ? – გაღიზიანდა ერეკლე.

– არა, დედამიწაზე... ამას წინებზე ფრიდრიხ დიდმა დამბარა, დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში პრინცი ერეკლეო.

– შენ საიდან იცნობ ფრიდრიხ დიდს?

– ჯუნიორ ვაშაძემ წამიყვანა მაგის დაბადების დღეზე, თაკო ჩარკვიანმა გააცნო თურმე ადრე, ფრიდრიხის დიდი ბებია ყოფილა გიგანების ახლო ნათესავი მეთხუთმეტე საუკუნეში.

– როცა ნახავ, მადლობა გადაეცი.

– ვის, ჯუნიორს?

– ფრიდრიხ დიდს!

– აა, ჰოოო, მა რაა, გადავცემ, – თითქოს დაიბნა ალიკო.

– ახლა კი დავით ბატონიშვილთან ერთად თაბორის ქედის სამხრეთ ფერდობებთან, შინდისის მიდამოებში განლაგდი და მიზანში თელეთის ქედის ჩრდილო ფერდობები ამოიღე, მტერი იქიდან დაეშვება კრწანისის ველისაკენ.

– სამთავრობო აგარაკები როა, მანდ ჩავსაფრდე?

– ჰო, ოფთალმოლოგიური კლინიკა და სასჯელაღსრულების დაწესებულებები როა, მანდა.

მტერმა თელეთის ქედზე გადმოსვლა მართლაც დაიწყო. ალიკომ ტყვიამფრქვევი მოიმარჯვა და ჰეეე... მიდი, მოვდივაააარ... თიბა და თიბა წყეული სპარსელები.

ალიკო კარგ ხასიათზე დამდგარიყო, ლევან იოსელიანს გადაეხვია, ხომ ჯანმრთელადა ხარ, ბიჭო, განაკაწრი ხომ არსად გაქვსო? არაო, მიუგო ამან, ამ გახვითქულმა იოსელიანმა, შენ ხომ ჯანზედ ხარ, სპარსელთა ისარი ხომ არსად გაგერჭო, ან იღლიაში ან სადმეო? არაო, ვერ მიართვეს აღა მაჰმად-ხანსაო, მაგას ხვალ გავაძევებთ აქედანო, დედას ვუტირებთო.

– ბიჭო, ამ ომს რომ მოვიგებთ„„ იასნია”, არ არი პრობლემა, მაგრამ სახლში რო დავბრუნდებით, რა ვქნათ, არ შევიდეთ პარლამენტში? – ჩაილაპარაკა იოსელიანმა.

– უნდა შევიდეთ, ერთი მაგათიც, ჩვენ აქ ვიბრძოლოთ, სპარსთა, ოსმალთა, თურქთა და სელჩუკთა ლაშქრები ვამარცხოთ და ისევ სააკას ჭკუაზე ვიაროთ? ერეკლეც დაბერდა, ვეღარა ჰქაჩამს, ხელფასებსაც ვეღარ იხდის, ხვალე რა იქნება, არავინ იცის, – მიუგო ალიკომ.

– აღა-მახმად ხანს შემოუთვლია, თბილისში შემომიშვით და ნადავლს შუაზე გაგიყოფთო, შალვა ნათელაშვილმა თქვა, ერთი მაგი დედაც ვატირე, ცოტა ხნით შემოვუშვათ, ივანიშვილის სახლკარი ავაოხრებინოთო, ხეირსაცა ვნახამთ, ქვეყანასაც გავანთავისუფლებთო. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს უარი ვუთხარი, არ გამოვა, ეგ ისეთი ჩათლახია, ჩვენც ზედ მიგვაყოლებს-მეთქი.

– ეეეჰ, შალიკო არაადეკვატური გახდა, აჩმახებს!

– დავიძინოთ, ხვალ ადრე უნდა ავდგეთ, დიდი ომი გვაქ გადასატანი, – თქვა იოსელიანმა და„„ ბუშლატა” წაიფარა.

ღალატი

პირველი ბრძოლით დაშინებული აღა-მაჰმად ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა. თუმცა ღამით ციხიდან მოღალატეთა ხელშეწყობით გაპარულმა სპარსელთა ჯაშუშმა შაჰი დაარწმუნა ქართველებს იმდენი შნო და მარიფათი არ აქვთ, როგორც შორიდან მოსჩანს, თუ მიაწვები დაამარცხებო.

გათახსირებულ აღას ჯარი, წინა დღის მარცხის მიუხედავად, რაოდენობრივად შვიდჯერ მეტი იყო ქართველთა ჯარზე. მან თავის არმიას უკან 6 ათასი თურქმენი ჩაუყენა და უბრძანა, უკანდახეული სპარსელი მებრძოლები ადგილზე გაენადგურებინათ.

11 სექტემბერი, დილის 7 საათი. ქართველთა ჯარს თვით ერეკლე სარდლობდა. მის პირველ მოადგილედაც, რასაკვირველია, ხმათა უმრავლესობით, ალიკო დაინიშნა. თავი მხოლოდ ნიკა მაჭუტაძემ შეიკავა, მან ღიად განაცხადა, ალიკო ვერ არი თავის მატორზეო. ვახტანგ გორგასალმა კი არა... ვახტანგ მეგრელიშვილმა თქვა, ვაცადოთ, ბატონო, ვაცადოთ, სად გვეჩქარებაო?

მიუხედავად ალეკოს შეუპოვრობისა, შეუვალობისა და პრინციპულობისა, შაჰი უკან დახევას მაინც არ აპირებდა, უეცრად მან ცხენი შეაბრუნა ადიდებული მტკვრისაკენ და თავისიანებს შესძახა: „ვინც ჩემი ერთგულია, მომყევით, თუ მტკვარმა წამიღოს, ჩემი გვამი ამოიღეთ და მიწაში დაფალით, ალიკოს არ დაანებოთ“.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა. აღა-მაჰმად ხანის ცხენს ალიკოს ზარბაზნიდან გავარდნილი ტყვია მოხვდა და სისხლისმსმელი შაჰი ტლაპოში გაგორდა. ვინ იცის, როგორ შეიცვლებოდა ომის ბედი, ტყვია რომ მხედარს მოხვედროდა. ერეკლე მეორემ კონტრშეტევაზე გადასვლა ბრძანა, მაგრამ ქართველთა მცირე ძალები თანდათან ამოიწურა და ნელ-ნელა უკან დახევა დაიწყეს. მარცხი გარდაუვალი იყო. მეზარბაზნეებმა მოახერხეს მტრის შეტევის დროებით შეკავება. ერეკლე ალყაში ექცეოდა, მტერი დაატყვევებდა ან მოკლავდა მეფეს, მაგრამ ერთგულმა თანამებრძოლებმა ძალით გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან.

სად იყო ამ დროს მამაცი ალიკო? სად იყო და... იგი იმდენად გაამწარა მარცხმა, წიხლი გაიქნია, საბანი გადაიძრო და გამოეღვიძა. მეტიც, კინაღამ იატაკზე მოადინა ბრაგვანი.

●

„ჭკუა მეკეტება საქართველოზე, მეც, ლევან იოსელიანსაც და ვინც ჩვენ პარტიაში – “მოქალაქეებში” ვართ, ყველას. ზუსტად ვიცოდით, რომ აბსოლუტურად სწორ რამეს ვაკეთებდით შეთანხმების გადარჩენით, მოლაპარაკების პროცესის შენარჩუნებით და პარლამენტში შესვლი თ. საქართველოსთვის და ხალხისთვის საჭირო რამეს ვაკეთებდით. გული მიჩუყდება, როცა მახსენდება იმ საშინელი რამდენიმე თვის მანძილზე როგორ ვამხნევებდით ერთმანეთს და ვეუბნებოდით, რომ უნდა გაგვეძლო – გაგვეძლო, ვინაიდან ასე სჭირდებოდა საქართველოს! უნდა გაგვეძლო და ბოლოს ყველა ჩვენ აზრზე დადგებოდა, ვინც საშინლად გვლანძღავდა – ისინიც. დიახ, ჩვენ და საქართველომ გავიმარჯვეთ! პოლიტიკა უნდა იყოს და იქნება ხალხზე და ქვეყანაზე ზრუნვა. ჩვენ ჯიუტი ხალხი ვართ, საქართველოს მომავალზე მოფიქრალი, ჯიუტი და თავზეხელაღებული ხალხი! მადლობა მოქალაქეებო – გაუმარჯოს საქართველოს”!!!

ეს სიტყვები ეკუთვნის ალიკო, იგივე ალეკო, ალექსანდრე ელისაშვილს, რომელსაც წინ დიდი ბრძოლები ელოდება – მაგალითად, 1917 წლის რევოლუცია (მაშინ თეთრ გვარდიაში მსახურობდა), გასაბჭოების წინააღმდეგ გამოსვლები, განკულაკების გაპროტესტება და რაც მთავარია, მეორე მსოფლიო ომი, როცა მარშალ ჟუკოვის პირველი მოადგილე გახლდათ მეტანკისტეობის დარგში.

●

ღმერთო, შენ დაიფარე საქართველო!

ნოველა რეალურ ფაქტებზე
დაყრდნობით დაწერა
გელა ზედელაშვილმა
555 48 48 61

ცრუ ევროპა

პარიზში, რამოდენიმე წლის წინ კონსერვატორი მეცნიერებისა და ინტელექტუალების ჯგუფის შეხვედრის მონაწილეებმა ევროპული პოლიტიკის, კულტურის, საზოგადოების არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატეს და ერთობლივი განცხადება შეიმუშავეს, სახელწოდებით „ევროპა, რომლისაც გვჯერა“. „ევროპა გვეკუთვნის ჩვენ და ჩვენ ვეკუთვნით ევროპას. ეს მიწები ჩვენი სახლია. ჩვენ სხვა არ გაგვაჩნია“, – ნათქვამია დეკლარაციაში, რომლის ტექსტი 36 მუხლისგან შედგება. ავტორების აზრით, დღეს ევროპა საშიშ მდგომარეობაშია, რადგან საკუთარი თავის შესახებ ცრუ წარმოდგენის ტყვეობაშია. „ცრუ ევროპის ლიდერები შეპყრობილები არიან გარდაუვალი პროჰრესუს ცრურწმენით. მათ სჯერათ, რომ ისტორია მათ მხარესაა და ამ რწმენამ ისინი ამპარტავნებით აღავსო, მათ არ შეუძლიათ, გააცნობიერონ ხარვეზები პოსტ-ნაციონალურ, პოსტ-კულტურულ მსოფლიოში, რომელსაც თავად აშენებენ. მეტიც, მათ არაფერი იციან ადამიანური ღირსების ნამდვილი წყაროების შესახებ, რასაც ისინი ასე აფასებენ, როგორც ჩვენ. ისინი ევროპის ქრისტიანულ ფესვებსაც კი უგულვებელყოფენ. ამავე დროს, ისინი დიდ სიფრთხილეს იჩენენ, რომ შეუარცხყოფა არ მიაყენონ მუსლიმებს, რომლებიც, მათი წარმოდგენით, სიხარულით მიიღებენ მათ სეკულარულ, მულტიკულტურულ შეხედულებებს“, – ნათქვამია განცხადებაში. ტექსტის ავტორები აღნიშნავენ, რომ „ცრუ ევროპის“ წარმომადგენლები ახშობენ ყოველგვარ განსხვავებულ აზროვნებას და ამას თავისუფლებისა და ტოლერანტობის სახელით აკეთებენ. „ჩვენ ჩიხში შევდივართ. ევროპის მომავლისთვის ნამდვილი საფრთხე არც რუსული ავანტიურიზმი და არც მუსლიმური იმიგრაციაა.

ნამდვილი ევროპა საფრთხის წინაშეა სულისშემხუთველი ხელის გამო, რომლითაც ყალბ ევროპას ჩვენი ცნობიერება უჭირავს. ჩვენი ერები და საერთო კულტურა იშლება ჩვენს აწმყოსა და მომავალთან დაკავშირებული ილუზიებით“, – წერია პარიზის დეკლარაციის ტექსტში.დოკუმენტის ავტორები მიიჩნევენ, რომ საჭიროა ნამდვილი ლიბერალიზმისა და მორალური კულტურის აღდგენა. მათი აზრით, მხოლოდ იმპერია შეიძლება იყოს მულტიკულტურული. ამასთან, პარიზის დეკლარაციის ავტორები განათლების რეფორმის ჩატარებას ითხოვენ, ქორწინებას



კი სამოქალაქო საზოგადოების ქვაკუთხედად და ქალსა და მამაკაცს შორის ჰარმონიის საფუძვლად მიიჩნევენ. ტექსტის ავტორები მოუწოდებენ ევროპელებს, შეუერთდნენ მათ და უარი უთხრან „საზღვრების გარეშე მულტიკულტურული სამყაროს უტოპიურ ფანტაზიას“. დოკუმენტს რამდენიმე ევროპული ქვეყნის 13 მეცნიერი აწერს ხელს, მათ შორის ფრანგი ფილოსოფოსები ფილიპ ბენეტონი და რემი ბრაგი, ბრიტანელი ფილოსოფოსი როჯერ სკრატონი, გერმანელი რობერტ შპემანი და სხვები. ფრანგი ფილოსოფოსი, აკადემიკოსის რემ ბრაგის თქმით, დღეს ადამიანს როგორც ცოცხალ არსებას და კაცობრიობას ემუქრება მასობრივი მოსპობა-ნგრევის იარაღი, მთელი ბუნებრივი გარემოს დაბინძურება, დემოგრაფიული გაწყვეტა. მაგრამ ყველა ამ უბედურებას განაპირობებს თვითონ ადამიანისგან მომავალი ფაქტორები და ეს ფაქტორები უთხრიან ძირს მის ადამიანობას. ჰუმანიზმმა ანუ ადამიანის ტრაბახმა თავისი ძალის და ყოვლისშემძლეობის შესახებ მიგვიყვანა იქამდე რომ უნდა ვიფიქროთ, ხომ არ ჯობია ამ ჰუმანიზმის ნაგავში გადაგდება...

აღარ შეგვიძლია ილუზიებით არსებობა. იოლია ერთად ცხოვრების, თანაარსებობის წესებზე დაყვანილი ჰუმანიზმის ქადაგება. მაგრამ როგორ უნდა დავაფუძნოთ ის? დღევანდელ მოაზროვნეებს უჭირთ თვითონ ადამიანის არსებობის გამართლება. კაცობრიობის მთელი ისტორია სავსეა დანაშაულებით, ომებით, ტანჯვით და შიშით და ბედნიერება ზუსტად იმდენია რომ სანამ არის, ვცახცახებთ მისი დაკარგვის შიშით და როდესაც ბედნიერება ქრება კიდევ უფრო ვიტანჯებით. დრო და დრო ცხოვრება თითქოს უმჯობესდება. იქმნება ცივილიზაციები. მაგრამ ყველა ცივილიზაცია კვდება და მათ მიერ მოტანილ შემსუბუქებებს აწონასწორებს ტანჯვის ახალი სახეობები. ინგლისელი ფსიქიატრი, მკვლევარი, მწერალი ენტონი მალკოლმ დენიელსი რომელიც თეოდორე დალიმპლეს ფსევდონიმით აქვეყნებს კვლევებს ხშირად ამტკიცებს, რომ დასავლეთის ინტელექტუალურ წრეებში გავრცელებული სოციალურად ლიბერალური და პროგრესული შეხედულებები ამცირებს პიროვნების პასუხისმგებლობას საკუთარი ქმედებების მიმართ და ძირს უთხრის ტრადიციულ ნორმებს, რაც ხელს უწყობს განვითარებულ ქვეყნებში ენდემური ძალადობით, კრიმინალით დაქვემდებარებული ქვეკლასის ჩამოყალიბებას. დენიელსი რამოდენიმე წლის წინ წერდა – „საფრანგეთი არაა მარტო თვალშისაცემად და თვალისმომჭრელად ლამაზი ქვეყანა. ყველაფერს, მათ შორის საფრანგეთსაც, აქვს მეორე, ბევრად უფრო ნაკლებად მანუგეშებელი მხარე. მე წელიწადში ოთხჯერ დავდივარ პარიზში და ვიცი საფრანგეთის საშუალო კლასების წუხილი და საზრუნავი. რამოდენიმე წლის წინ წუხდნენ სკოლების გამო: დიდად ნაქები საფრანგეთის საგანმანათლებლო სისტემა ემხობოდა, უწიგნურობა ვრცელდებოდა, ბავშვები უსწავლელები შედიოდნენ სკოლაში და უსწავლელები მიდიოდნენ იქიდან და უარესად იქცეოდნენ. ბოლო წლების პრობლემაა კრიმინალი, დაუცველობა, ძალადობა ქალაქებში, უწესობა-უზრდელობები. ყველას მოსაყოლი რაღაც ისტორია.“

დენიელსი აღშფოთებულია, რომ პარიზის ცენტრში დაუცველად იგრძნო თავი. ის შეესწრო სამი ახალგაზრდა რუმინელის მიერ, ძალიან მდიდრული სახლის ქურდობის ფაქტს, სენ-ჟერმენის ბულვართან, მისი გადმოცემით ახალგაზრდები, სრულიად დაუფარავად ცდილობდნენ პარკმეტრში შეღწევას და სახრახნისით ფულის მოპარვას. „ეს ხდებოდა ნაშუადღევის ოთხ საათზე. ტროტუარები და კაფეები სავსე იყო ხალხით. რუმინელი მუტრუკები კი მათ თვალწინ ისე იქცეოდნენ თითქოს ქურდობა იყოს კანონიერი ნორმალური რამე. მათ არაფრის ეშინოდათ. ბოლოს და ბოლოს ორმა სამოც წლამდე ქალბატონმა გაბედა და უთხრა მათ გაჩერებულიყვნენ. გააფთრებულმა მუტრუკებმა აგინეს ქალები და მათ სახის წინ უტრიალეს სახრახნისები. ქალბატონები ჯერ გაშეშდნენ და მერე წავიდნენ. მუტრუკებმა განაგრძეს „მუშაობა“ ცოტა ხანში დაახლოებით სამოცდაათი წლის კაცმა სთხოვა მათ გაჩერება. მუტრუკები კიდევ უფრო გამხეცდნენ და სახრახნისი დაუტრიალეს მუცლის წინ. მე წავიწიე კაცისთვის დახმარების გასაწევად, მუტრუკებმა ატეხეს გინება, გამოთქვეს უკმაყოფილება და გაიქცნენ. მხოლოდ ასაკოვნებმა სცადეს რაღაცის გაკეთება თუმცა ფიზიკურად ძალიან სუსტები იყვნენ ამისთვის. მარტო მოხუცებმა იციან თუ რა არის ბოროტება და სიკეთე.

დენიელსი, საზოგადოების უმოქმედობის მეორე მოტივზე ამბობს, რომ „ბაცაცა მუტრუკები რომც დაეჭირათ მათ ცუდი არაფერი მოუვიდოდათ და ისინი ერთ საათში უკან დაბრუნდებოდნენ და ვის უნდა სახრახნისზე ღვიძლით წამოგება უაზროდ? ფრანგული მართლმსაჯულების უცნაური საქციელი ცნობილია. საზოგადოდ ამბობენ რომ უნდა აგინო საზოგადოება და არა კრიმინალი. მოსამართლეებიც სიმპატიას გამოხატავენ იმ კრიმინალების მიმართ ვისაც ასამართლებენ. ცოტა ხნის წინ სენ ჟერმენის ბულვარზე მანიფესტაცია მოაწყო რვაასმა პოლიციელმა. ისინი უკმაყოფილოები იყვნენ იმით რომ გირაოთი, თავდებობით ციხიდან გაანთავისუფლეს ცნობილი და მკვლელობაში ეჭვმიტანილი ყაჩაღი. ამ ყაჩაღმა კი განთავისუფლების შემდეგ გაძარცვა სახლი და მან და მისმა თანამზრახველებმა მოკლეს ორი პოლიციელი და მძიმედ დაჭრეს მესამე. არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამას გარდა მან რამოდენიმე დღით ადრე დახოცა ერთი რესტორანის მესაკუთრეთა წყვილი და ორი მათი თანამშრომელი, დახოცა მფლობელების ცხრა წლის ქალიშვილის თვალწინ. მემარცხენეთა დიდმა გაზეთმა **Libération**-მა, რომელსაც სიამოვნებით კითხულობს ფრანგი ინტელიგენცია, მასხრად აიგდო პოლიციელების დემონსტრაცია. არც ერთ ჟურნალისტს არ უთქვამს, რომ ეფექტური პოლიცია პიროვნული თავისუფლების ისეთივე გარანტიაა როგორც თავისუფალი პრესა... მიუხედავად ამისა კერძო საუბრებში ყველა ჩივის რომ პოლიცია უძლური გახდა, რომ მას არ შეუძლია დამნაშავეთა დადგენა და დასჯა. საშინელებათა ისტორიები ბევრია. პარიზელმა ნაცნობმა მიამბო, რომ ერთხელ საღამოს მან დაინახა თუ როგორ მიადგა ორი კრიმინალი მანქანას რომელშიც ვიღაც ქალი ელოდა ქმარს. კრიმინალებმა გატეხეს მანქანის ფანჯარა და სცადეს ქალისთვის ხელჩანთის წართმევა, მაგრამ ქალმა წინააღმდეგობა გაუწია.ქალის დასახმარებლად მისულმა ნაცნობმა დაიჭირა ერთი კრიმინალი და მეორე კრიმინალი გაიქცა. საბედნიეროდ ჩაიარეს პოლიციელებმა მაგრამ მათ უბრალოდ გააფრთხილეს კრიმინალი და გაუშვეს.



დენიელსის გადმოცემით კრიმინალები, ნაპოლეონის ბრწყინვალე სასახლესთან ახლოს მდებარე მშვიდ, მდიდარ სოფელში პენსიონერ მინისტრსაც „სტუმრობდნენ“ თანასოფლელებმა პოლიციაში დარეკეს და პასუხად მიიღეს – ჯერ არ გვცალიაო.

უელბეკი ამბობს: „დასავლელმა ადამიანმა ღმერთი დაივიწყა და ამ უღმერთობის გამოა სასოწარკვეთაში“, მაგრამ იმ ადამიანებს ვისაც თავის ქვეყნის, ერის, კულტურის დაცემა ადარდებთ, არ მგონია ღმერთი არ ახსოვდეთ!...

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

„მეგრულიც და სვანურიც ჩვენი საგანძურია, რომელსაც უნდა ვიცავდეთ“

ვაგრძელებთ „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში დაწყებულ დისკუსიას. რედაქციის სტუმრები არიან მწერალი გური ოტობაია და ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი

გური ოტობაია:

რევოლუციური განაცხადი ქართულ ეთნოპოლიტიკაში

სალომე ზურაბიშვილი პირველი პოლიტიკოსია, რომელმაც მეგრული და სვანური ენები ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობის ქვათაკირად დაასახელა.

საქართველოში ენის პრობლემა მრავალსაუკუნოვანია. ჯერ კიდევ ქუჯისა და ფარნავაზის კოალიციური სახელმწიფოს ჩამოყალიბება მიანიშნებს იმას, რომ კოლხური ფასეულობები არ წარიმართა ბუნებრივი გზით, მას შლაგბაუმი აღემართა, როგორც გეორგევსკის ტრაქტატით ვითომ სუვერენობა შენარჩუნებულ საქართველოს. კოლხურის პრიმატის თანდათან ნიველირებას მოჰყვა საქაელთველოს პერიფერიულ წიაღში არსებული მესხური ტომების დაწინაურება, ჯავახიშვილის რწმუნებიუთ იგი სოლივით შეეჭრა კოლხეთს და შუაზე გაწყვიტა. რატომ დასჭირდათ ფარნავაზის პერიოდის პოლიტიკოსებს კოლხური პრიმატისადმი ესოდენი მამასისხლური დამოკიდებულება, ძნელი ამოსაცნობი არ არის, რადგანაც კოლხეთს იმთავითვე თავი ჰქონდა მიყრდნობილი ევროპისათვის, ის იყო პროტოიბერიული სივრცის განუყოფელი ნაწილი (ჰუმპოლდტი), ხოლო აღმოსავლური პოლიტიკა, რომელიც თანდათან ითრევდა თავის წიაღში ქართულ ცნობიერებას უნდა მოეხდინა მისი დეზორიენტაცია მაგისტრალური გზიდან და მოახდინა კიდეც. და შუაგულ საქართველოში იბერიის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ამისი ერთერთი გამოხატულებაა. აქ იბერია საფანელივივითაა, სატყუარასავით, თორემ იმ პერიოდის საქართველოს ფორმირება ხდება ქართის ტომის გარშემო. თავად იბერიულ მემკვიდრეობაზე დიდი გრამატიკოსი იოსებ ყოფშიძე იტყვის: „გრამმატიკა მინგრესკოგო (ივერსკოგო) იაზიკაო“. ე.ი. იბერი შირმაა ქართის სახელმწიფოსთვის, რომელშიც დასავლური მსოფლგანცდის სანაცვლოდ ჩასხმულია აღმოსავლური ფასეულობები. საქართველოს მოწყვეტას დასავლეთის ზეგავლენებისაგან, ითვალისწინებდა პროტოიბერიულის, პროტოქართულის სავსებით განადგურებას ჩვენს ცნობიერებაში. მაგრამ მეგრულლაზური და სვანური ენები გაცილებით სიცოცხლისუნარიანები აღმოჩნდნენ. ისინი გალობების, სიმღერების მეშვეობით ახერხებდნენ თავიანთი ლექსიკის შენარჩუნებას. დროთა ვითარებაში მეგრულს, სვანურს კრამერის „ბიზონების“ სინდრომი დაემართათ, ისინი ლამის რეზერვაციის პირობებში შეეგუენ მათზე დამიზნებით ნადირობებს.

აი, ამ კონტექსტში, განუზომელია პოლიტიკოსი სალომე ზურაბიშვილის თანადროული შეძახილი.

ბავშვი რომელიც ფორმირდება ამათუიმ ენობრივ გარემოში, ის იმ ენითაა დაპროგრამებული და ბუნებრივია, ჭეშმარიტი ფსეული ფორმები მხოლოდ ამ ენაზე გამოსდის. მეგრულენოვან სივრცეში ფორმირებულმე ჩვენმა დიდებულმა მწერლებმა ლეო ქიაჩელმა, დემნა შენგელაიამ, კონსტანტინე გამსახურდიამ, ლევან გოთუამ შექმნეს შედევრები — „ჰაკი აძბა“, „თავადის ქალი მაია“, „ალმასხან კიბულან“, „გვადი ბიგვა“, მთვარის მოტაცება“, „გმირთა ვარამი“, მაგრამ ვეღარ დაწერეს ლექსი ქართულად. პროზაში, ზედნაშენ ფენომენში, მოხერხდა სულის თარგმნა, მაგრამ პოეზიაში ვერა.

რაბინდრანათ თაგორი — დიდი ინდოეთის შვილი ყველაფერს ჰინდის ენაზე წერდა, პროზას, დრამატურგიას, პუბლიცისტიკას, მხოლოდ პოეზიას ახმოვანებდა ხოლმე თავის მშობლიურ — ძუძუენა ბენგალურზე.

მე ეს ფენომენი მეცნიერულად სტუდენტობის წლებში შევისწავლე. დიმიტრი უზნაძის „განწყობის ფსიქოლოგიაც“ ამის დასტურია. ქვეშეცნეული წარმმართველია პიროვნების ფორმირების გზაზე. ქვეშეცნეული იგივე პოეზიის ენაა, ძუძუ ენა, რომელიც აკვნის პერიოდში ჩამოაყალიბებს ხოლმე ინდივიდს. ქვეშეცნეული ზედნაშენზე, ანუ ცოდნით შეძენილზე გაცილებით სანდოა. ჩამაფიქრა დასახელებულმა ფენომენმა და ოთხმოციან წლებში „ცისკარში“ მეგრულად დაწერილი ლექსების თარგმანების გამოქვეყნება დავიწყე. ამ ფრთხილი ნაბიჯების უკან იდგა სამშობლოსგან შესაძლო ბრალდება — „ზოგადეროვნულის მოღალატე!“ „სეპარატისტი!“ და თარგმანებსაც ამიტომ ვასაღებდი ორიგინალად, რაც ვერასდროს აღწევდა ესთეტიკურ ეფექტს, საშუალო დონის პოეზიად აღიქმებოდა სულმუდამ.

პოეზია ლაკმუსია სულისა. პოეზია უმაღლესი კატეგორიაა ხელოვნების დარგებს შორის ჰეგელთან „ესთეტიკაში“. პოეზია ძუძუენაზე მოითხოვს განცდის გადმოცემას. სხვანაირად ნაყალბევი გამოვა. პოეზია ერთადერთია რომელიც ადამიანს უცდომლად ატარებს დროსა და სივრცეში. ის პიროვნების ლოცმანია, და როცა ამ ფენონების რეალიზაცია აღკვეთილია პოლიტიკური ბერკეტებით, მისი მემკვიდრე სუბიექტი ჯანგატეხილია, გულაცრუებული უკეთესი ქვეყნის მერმისზე, რადგან თავადაა ნიველირებული, როგორც სამშენებლო მასალა.

თავიდან მე წვრილმან ლექსებს ვუტრიალებდი მეგრულ ენაზე. ეს ლექსები უმალ ვრცელდებოდა ხალხში. იშვიათად შემხვედრია სუფრა, სადაც ჩემი მეგრული ლექსებით არ გამომხმიანებოდეს ხალხი. მოგვიანებით მე უფრო სერიოზულ თემებს შევეჭიდე — ტროს 10-წლიან ომს და ამ ომში კოლხების მონაწილეობას. ჰომეროსის რწმუნებით: „ჰალიძონები ეპისტროპფოსს, ოდიოსს მოჰყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან (ხ)ალობეს მხრიდან“. მე ორმოცი წლის განმავლობაში შევძელი ამ ეპიკური პოემის გასრულება მეგრულ ენაზე და ჩემს სულს განუზომელი ნეტარება მოენიჭა, რადგანაც საქართველო დავაბრუნე პროტოიბერიულ სივრცეს, პროტოქართულ გარემოს, თანაც არ მეშინია ამისი გაცხადების — ღვათაებრივი მეგრულით.

ჰომეროსის ძველბერძნული ენა ფაქტრობრივად მკვდარია. იგი ხელახლა ითარგმნა საკუთარ სამშობლოში.

მე ქართველურ წიაღში ჩამოვაქანდაკე მონუმენტური ეპიკური პოემა „ოდოია“, რომელმაც სიმღერა „ოდოიასავით“ ათასწლეულებს უნდა გაუძლოს.

რუსთაველი იმდენადაა მომწყდარი დასავლეთს, რომ მან მხოლოდ ინფორმაციის დონეზე იცის ჰომეროსის არსებობა, ასახელებს „უმიროსს“, „პლატონს“ და ამით ამოიწურება ევროპული ფასეულობების ავანჩავანი.

ჩვენ მეგრული ენით, პროტოიბერიული სივრცით — აფხაზებითა და ოსებით, ჩეჩნებითა და ინგუშებით, ყაბარდოელებით და ბალყარელებით შევქმენით ტროიას კოალიცია აიეტის შვილიშვილისა და აფსირტე-სათანეი გვაშას ძის — ოდის, ოდოიას სახით. ამგვარმა დამოკიდებულებამ უმტკივნეულოდ შეძლო ჩვენში აღედგინა ლამის 15 საუკუნის იავარქნილი სივრცე ჩვენს ფსიქოლოგიაში — ჩვენი ევროპა, ჩვენი პროტოიბერიული ფასეულობები, ირლანდიელები და ისლანდიელები, შოტლანდიელები და ბასკები.

ბევრს გაუკვირდა 2017 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ პროექტ „მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ ჯგუფს პრეზენტაციის საშუალება რომ მოგვცა თავის ჭერქვე შ. ღონისძიებამ მართლაც ჩინებულად ჩაიარა.

მეცნიერებათა აკადემიაშივე წარმოიშვა იდეა (აკად.ა. **არაბული**), რომ გაგრძელება მისცემოდა „მეგრული პოეზიის ანთოლოგიას“ და შექმნილიყო სრულყოფილი „ქართული პოეზიის ანთოლოგია“, სადაც საკუთრივ ქართულის გვერდით, თარგმანების სახით თავის ნიშას დაიკავებდა სვანური, მეგრულლაზური პოეზიის ნიმუშები.

გადავწყვიტეთ გვემოქმედა საქართველოს კონსტიტუციის შესატყვისად და აფხაზური პოეზია ამ ანთეოლოგიაში განგვეთავსებინა. აღმოჩნდა რომ „ქართული პოეზიის“ ჭერქვეშ აფხაზებს არ სურდათ საკუთარი პოეზიის წარმოჩენა. იგივე სურათი განმეორდა ოსებთანაც.

და აქ უნებურად ამოტივტივდა ტერმინი „იბერიული“, რომელიც მისაღები აღმოჩნდა ქართვლებისთვისაც, აფხაზისთვისაც და ოსისთვისაც, მოკლედ — მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისთვისაც. დაემატა ამ პროექტს ირლან-



პაატა ნაცვლიშვილი:

მეგრულისა და სვანურის (არ)ცოდნისა



დიელების, ისლანდიელების, ბასკების პოეტური შემოქმედება და „იბერიული პოეზიის ანთოლოგიის“ მონუმენტური ორტომეული მაგიდაზე დაიდო გამოსაცემად.

რატომ მოვიშველიეთ ეს ყველაფერი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის განაცხადის შემდეგ?! მან, ერთადერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა დაამსხვრია სტერეოტი, დაამსხვრია, სოციო-ლინგვისტიკის ვითომ პატრიოტული მიმართულება ენათმეცნიერებაში, რომელიც ერთადერთ „ქართულს“ ანიჭებს ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღმაშენებელ ძალისხმევას და აქედან გამომდინარე, სვანური და მეგრულ-ლაზური, გვინდა თუ არა კნინობით მდგომარეობაშია, დანამატი, მეორეხარისხოვანი. ხდებოდა და ხდება დღესაც მათი წარმოჩენა არა დამოუკიდებელ ენებად, არამედ ქართულის ენის დანამატებად, დიალექტებად. დისკრიმინებული ეროვნული სუბიექტი ვერასდროს იქნება სახელმწიფოს სრულფასოვანი აღმაშენებელი. იგი ყოველთვის ფეხს აითრევს მოვლენების წინაშე, რადგანაც ათვალწუნებულია, მეორეხარისხოვანი. სანამდის იგნორირებული იქმნება მეგრულ-ლაზური, სვანური ენობრივი რეკვიზიტები, ეთნოფსიქოლოგია, როგორც ქართული ერთიანი ბუნებრივი წარმართველი ენერგია, ჩვენი ქვეყანა ყოველთვის კისრისტეხით იბღოტიალებს სამშობლოს აღმართ-დაღმართ, ხევ-ხუვ, თემი-თემ.

ჩვენ მიპარვით, ჭირთათმენით განვახორციელეთ მეგრულ ენაზე ეპიკური პოემა „ოდოია“ და ქართული ცივილიზაცია დავუბრუნეთ თავის პირვანდელს ადგილსამყოფელს — პროტოიბერიულ სივრცეს. ეს ყველაფერი ჩვენ მეგრული ენის გასაოცარმა გამომხატველობითმა უნარმა შეგვაძლებინა. გაივლის დრო, როცა ჩვენი ჩინებული კობა ჭუმბურიძე უფრო გაიწაფება მეგრულში და იქნებ ამ პოემის თარგმნაც შეიძლოს (დღემდე 300 მეგრული ლექსი აქვს გადმოქართულებული). რა მოხდა? დაგვქცა ქვეყანა თავზე? დაგვემხო ჭერი და ფეხქვეშ იატაკი გამოგვეშალა, თუ უფრი თამამად გავუსწორეთ მზერა გაცილებით შორ ჰორიზონტებს?!

მეგრულ ენაზე მოხდა 3300 წლის წინანდელი პროტოიბერიული სივრცის რესტავრაცია ეპოკური პოემა „ოდოიათი“. განივრცო ჩვენი წარმოდგენები სამყაროზე და მეტი თავისთავადობა ვიგრძენით. მსგავსი ტილოები რომ დაიბადოს სვანურ, ლაზურ ენებზე, რა, ჩამოიშლება ვითომ ქართულის ერთადერთობაზე ჩამოკიდებული ჩვენი მონოცენტრული ცნობიერება? არაფერიც. პირიქით, ნაწოილისა და მთელის ურთიერთკავშირი კრავს მთელს სამყაროის, მოვლენებს ჰეგელისებურად. მოვლენ ხელდასხმული წერედიანები, აჯიაშვილები, თანდილავები და დედაქართულზე ააჟღრერებენ მათ ადრე თუ გვიან. ხსნა მრავალერთიანობაშია კანტისებურად. სვანურად შექმნილი „ლილე“ საბოლოოდ ზოგადქართულ ცნობიერებაშია დაბინადრებული და იქიდან განავრცობს ჩვენს გრძედ-განედებს. ასევე ითქმის ლაზურ საგანძურებზე, რომელიც პროტოიბერიულის, პროტოქართულის ამაღლების სამსახურშია ანიდან ჰოემდე. მეგრულზე უკვე გაგვიცხადებია — ეპიკური პოემა „ოდოიათი“ ჩვენ მოვახდინეთ ჩვენი იავარქნილი ანტიკური ხანის რეანიმაცია. ახლა საჭიროა ობივატელმა ქართველმა ყური რამდენადმე გამოიბერტყოს, ცოტა სვანურისკენაც მიიხედოს, ცოტა ლაზირ-მეგრილისკენაც და უფრო გაიმშობლიუროს ის ფასეულობანი, რომელიც დიდებით მოსილ მის შორეული წლებზეა განსულიერებული მისსივე ერთარსი მეგრულით, ლაზური თუ სვანურით.

ქვეყნის პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა ჭეშმარიტი პოლიტიკოსის ალღოიანობით დაინახა ლინგვისტიკურ პრობლემებში საქართველოს სახელმწიფოს სამომავლო შედეგების პერსპექტივები.

ამაზე უკეთესი ჯილდო წარმატებული ქართული სახელმწიფოსთვის გამორცხულია!

ბოლო დროს განსაკუთრებით განვიცდი, რომ არ ვიცი მეგრული და სვანური ენები. ძალიან მწყდება გული, რომ ვერ ვკითხულობ ჩემი მეგობრების ლაშა გახარიას, რაულ ჩილაჩავას, ბათუ დანელიას, გური ოტობაიას, ვასილ ბესელიას, ზაალ ჯალაღონიას და სხვათა მეგრულ ლექსებს, რომლებსაც ძალიან აქებენ მეგრული ენის მცოდნენი და მათსავე ქართულ ლექსებს არათუ ჩამოუვარდება, იქნებ აღემატება კიდეცო, — ამბობენ. მრცხვენია, რომ თხადაგიგოსავით მიჭირავს ხელში ქართული შრიფტით დაბეჭდილი მეგრული ჟურნალი „სქანი“, რომლის ოთხივე დღემდე გამოსული ნომერი კი შევიძინე „შაქრო ბაბუაში“, მაგრამ მხოლოდ იმას ვახერხებ, რომ უნგრული თუ შვედური ჟურნალებივით ვათვალიერო ისინი და სათაურების იქით არ შემიძლია წავიკითხო ჩემთვის საინტერესო არაერთი მასალა, როგორიცაა, ვთქვათ, აკაკი ჭანტურიასა და ლეო ქიაჩელის მეგრული მიმოწერა, ან ზუგდიდის რესპუბლიკისა თუ კოლუმბის მოგზაურობის მონაწილე ვინმე გიორგი მოლაშხიას ამბები... მინდა, რომ ეს ჟურნალი, რომელსაც სათაურად, რომ ვთარგმნოთ, „შენი“ ჰქვია, ჩემიც იყოს, ვგრძნობ, რომ არის კიდეც, მაგრამ ჩემდა სამარცხვინოდ, ვერ ვკითხულობ ამ ჩემს ჟურნალს.

მუდამ შევნატროდი ჩემს მეგობრებს, რომლებიც მეგრულადაც და სვანურადაც ლაპაკობენ. ოდესღაც იმედი მქონდა, რომ რამდენიმე თვით გადავცხოვრებოდი სამეგრელოში და ენას თუ ვერ გავიტეხავდი მეგრულში, ყურს მაინც გავაჩვევდი. ვნანობ, რომ ეს ვერ მომიხერხდა. იმის იმედიც მქონდა, რომ სვანურს ალპინისტურ ბანაკებში ხანგრძლივი ყოფნისას ვისწავლიდი, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ სვანეთის ალპინისტურ ბანაკებში — „აილამაშიც“ და „ზესხოშიც“ სალაპარაკო ენა ძირითადად რუსული იყო და იქ სვანებიც კი რუსულად ლაპარაკობდნენ. ვინ იცის, რამდენჯერ მინატრია, სვანურად დავლაპარაკებოდი ბექნუ ხერგიანს, ჯოკია გუგავას თუ სერგო ბარლიანს... ვინ იცის, რამდენჯერ მინატრია, შემძლებოდა ერეკლე საღლიანის მიერ სვანურად წარმოთქმული სადღეგრძელოს მთელი სიღრმისა და სილამაზის აღქმა.

ეს ყველაფერი ლაზურსაც ეხება. ძალიან კარგი საქმე გააკეთა გამომცემლობა „ინტელექტმა“ „100 ლექსის“ საგამომცემლო პროექტის ფარგლებში ცალკე მეგრული და ცალკე ლაზური პოეზიის ნიმუშების გამოქვეყნებით. მახსოვს, „100 ლაზური ლექსის“ პრეზენტაცია გამომცემლობა „ინტელექტში“ ამ ათიოდე წლის წინათ. მახსოვს მაშინდელი საუბრები ლაზურის მოვლა-პატრონობისა და პოპულარიზაციის თაობაზე ამ კრებულის ერთ-ერთ ავტორთან, ჩემ თანაკურსელ იაშა თანდილავასთან. იმავე თემაზე არაერთხელ მისაუბრია ჩემ კიდევ ერთ ლაზ მეგობართან გუბაზ ვანილიშთან სარფსა თუ ბათუმში.

ბევრჯერ მიფიქრია და საჯაროდაც არაერთხელ მითქვამს, რომ რა კარგი იქნებოდა, ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე მეგრულ-ლაზური და სვანური ენების თუნდაც თითოსემესტრიანი, თუნდაც არჩევითი კურსები იკითხებოდეს. რა კარგი იქნებოდა, საშუალო სკოლაში თუნდაც რამდენიმე ლექსი, თუნდაც ტყაშმაფასა და ბეთქილისა ზღაპრები თუ ლეგენდები მეგრულად და სვანურად ისწავლებოდეს. არა მგონია, ამან საერთო ქართულ ცნობიერებას რამე ავნოს, პირიქით — დარწმუნებული ვარ, ეს ერთიანი ქართული ცნობიერების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. არც მეგრულს და არც სვანურს ჩვენ გარდა, ქართველთა გარდა პატრონი არ ჰყავს.

2021 წლის 14 აპრილს, ქართული ენის დღეს საქართველოს პრეზიდენტმა –განაცხადა, მეგრული და სვანური ენები ჩვენი საგანძურია და მათ მიხედვა უნდაო. ეს პირველად მოხდა ასეთი მაღალი დონიდან. ორი წლის წინათ გაკეთებული ჩემი ეს შთანაწერიც მისი ამ სიტყვების შემდეგ გამახსენდა. შთანაწერი კი სოხუმის უნივერსიტეტში გური ოტობაიასთან შეხვედრიდან დაბრუნებულს გამიკეთებია აკადემიკოს ავთანდილ არაბულთან საუბრის შემდეგ, ვის გვერდითაც ვიჯექი იმ შეხვედრაზე. იმ დღეს ოტობაიას მეგრული ტექსტებიც წაიკითხეს და მე თეთრი კი არა, ნამდვილი შურით მშურდა მათი, ვისაც იმ დღეს იმ დარბაზში მეგრული ესმოდა.

პრეზიდენტის 14 აპრილის გამოსვლას პირველი „საერთო გაზეთი“ გამოეხმაურა, რომელმაც მანამდეც არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა ამ საკითხს. გაზეთმა მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მოვლა-პატრონობის თემაზე დისკუსია განაახლა და, რაც ყველაზე სასიხარულოა, დისკუსიაში არამეგრელი და არასვანებიც ჩართო. მაგალითად, გაზეთის ბოლო ნომერში მეგრული და სვანური ენების დაცვის, შენახვისა და პოპულარიზაციის აუცილებლობის შესახებ საუბრობენ პროფესორი ნოდარ ნათაძე და აკადემიკოსი ავთანდილ არაბული.

ჩემი ამ შთანაწერის გახსენებით და გამოქვეყნებით, მინდა ჩემი ხმაც შევუერთო მათსას.

მე რომ ახლა სკოლის მოსწავლე ან სტუდენტი ვიყო, ინგლისურთან ერთად ან მასზე უწინ მეგრულისა და სვანურის სწავლას შევუდგებოდი!

„ლიტერატურული საქართველო“ 2021 წ.

ჩემპიონთა ჩემპიონი ჭადრაკში, ქალობაში და ადამიანობაში



ათწლეულების მანძილზე პატარა საქართველო მსოფლიო საჭადრაკო არენაზე წარმოუდგენელ შედეგებს აღწევდა. ქართველ ქალებს გზა მათმა საკუთარმა კუმირმა ნონა გაფრინდაშვილმა გაუკვალა. ეს მთელი ეპოქა იყო თითქოს არსაიდანმოსულმა პატარა ქართველმა გოგონებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 29 წლის განმავლობაში საშინაო საქმედ აქციეს, მსოფლიოში არ მოიძებნება ძალა, რომელიც სადედოფლო სიმბოლოს სხვა მისამართს მოუძებნიდა. 21 წლის ასაკში ტახტზე ასულმა ნონა გაფრინდაშვილმა 1962–1978 წლებში ახლოს არავინ გაიკარა და ტიტული მხოლოდ 17 წლის ვუნდერკინდს მაია ჩიბურდანიძეს დაუთმო. ამის დასტურად გთავაზობთ ფიდეს მაშინდელი გენ-მდივნის ჰოლანდიელი ქალბატონის ინესა ბაკერის გამოსვლას, რომელიც ნონა გაფრინდაშვილის მისამართით წარმოთქვა: „საქართველოში ჭადრაკის მოთამაშე ყველა გოგონას მინდა ვუთხრა, ითამაშეთ ჭადრაკი, რაც შეიძლება უკეთ, იქნებ დადგეს დრო და თქვენც ისეთივე დიდი მოჭადრაკეები გახდეთ, როგორიცაა თქვენთვის მისაბაძი მაგალითი – მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, დღეს მივესალმებით თქვენ საამაყო ასულს, იგი მართლაც ჭადრაკის დედოფალია, მინდა გითხრათ დიდი მადლობა.“

ნონა გაფრინდაშვილი დაიბადა 1941 წლის 3 მაისს ზუგდიდში, ტერენტი გაფრინდაშვილისა და ვერა გრიგოლიას მრავალშვილაინ ოჯახში, ის 6 დედმამიშვილში მეხუთეა – ერთადერთი ქალიშვილი, იმ ხანად ზუგდიდის მხარეთცოდნეობის მუზეუმს ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები ეწვივნენ აქვე იყო ტერენტი გაფრინდაშვილი თავის პატარა გოგონასთან ერთად, ორივენი დიდი სიყვარულით შესცქეროდნენ ანდრია დადიანის ჭადრაკის დაფას, ამის დანახვაზე ერთმა სტუმარმა გაუღიმა პატარა ნონას, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა: შენ ხომ არ აპირებ ჩემი თანამემამულის ვერა მენჩიკის მემკვიდრეობას? ვინ იფიქრებდა რომ 10 წლის შემდეგ ნონა აასრულებდა ჩეხი სტუმრის ღიმილიან მოსაზრებას. 12 წლის ნონამ ცნობილი მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის ყურადღება მიიპყრო და თბილისში მოსწავლეთა სასახლეში დაიწყო ჭადრაკის მეცადინეობა. 1954 წელს 15 წლის ნონამ საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, 16 შესაძლებლობიდან 15,5 ქულა დააგროვა, ნამდვილი ფენომენალური შედეგი დაფიქსირდა.

1960 წლის ბოლოს ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართა საბჭოთა კავშირის ქალთა XX ჩემპიონატი, რომელსაც უნდა გამოევლინა 4 საგზური, ნონამ ამ ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა და მოიპოვა სანუკვარი პრეზიდენტის საგზური, ხოლო 1961 წელს დიდი უპირატესობით გაიმარჯვა პრეზიდენტთა ტურნირში და მსოფლიო პირველობის გადამწყვეტ მატჩში დაუპირისპირდა იმ პერიოდის მოქმედ მსოფლიო ჩემპიონს ელისაბედ ბიკოვას.

1962 წლის 17 ოქტომბერი ოქროს ასოებიღ ჩაიწერა ქართული სპორტის ისტორიაში. მსოფლიო საჭადრაკო სამყაროს ახალი ჩემპიონი მოევლინა – ტახტზე ავიდა ახალი დედოფალი, 21 წლის ნონა გაფრინდაშვილ, რომელმაც საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვება – 9:2 მოიპოვა, მოსკოველ ელისაბედ ბიკოვასთან. ეს გახლდათ ქართული ჭადრაკის ჭეშმარიტი აღზევება. ამ მომენტის ისტორიული მნიშვნელობა კარგად ესმოდათ სპეციალისტებს, გულშემატკივრებს და თვიღ ელისაბედ ბიკოვას. ამიტომ იყო, რომ თავის გამოსვლაში მან თქვა: „ძნელია მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაკარგვა, მაგრამ სევდას მინელებს იმის შეგრძნება, რომ გვირგვინი ჩავაბარე ღირსეულ ჩემპიონს, რომელიც კიდევ დიდხანს იქნება საჭადრაკო ტახტზე“. ამ მატჩის მსვლელობისას თბილისში და სხვა ქალაქებში სალაპარაკო თემა მხოლოდ ჭადრაკი იყო. ორი ნაცნობი ერთმანეთს რომ ხვდებოდა პირველი კითხვა ასეთი იყო – ნონა რას შვება, ხომ არ იცით? ასე ჯგუფ-ჯგუფად მთელი ქალაქი განიცდიდა და მოუთმენლად ელოდა მატჩის დასასრულს, რომელიც ერთი თვე გაგძელდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს პატარა გოგონა ასე ადვილად უსწორდებოდა გამოცდილ მეტოქეს.

1962 წლის მსოფლიო ჩემპიონის დაჯილდოების ცერემონალზე, რომელსაც მოსკოვში რესტორანმა „მეტროპოლიტმა“ უმასპინძლა, ცნობილმა პროფესორმა, მოჭადრაკემ ნინა ბლუკეტმა წარმოთქვა სიტყვა:“ ნონა – ეს ყვავილია, რომელიც ჯერ კიდევ არ გაშლილა, მაგრამ უკვე დაიპყრო მოყვარულთა გულები, ვთხოვთ ჭადრაკის ქართველ გულშემატკივრებს გაუფრთხილდნენ ამ ყვავილს – ის დღს მთელ მსოფლიოს ეკუთვნის“. რა შთამბეჭდავად ჟღერს ეს მართლაც ხატოვანი ფრაზა, რამდენადმე ჩვენს ქართულ სადღეგრძელოებს ჰგავს. აქვე შეგახსენებთ იმ ისტორიულ თარიღებს, როცა ნონამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

• 1965 წელი, რიგა (18 სექტემბერი – 25 ოქტომბერი) ალა კუშნირთან – 8,5-4,5

• 1969 წელი, თბილისი-მოსკოვი (18 აპრილი - 20 მაისი) - ალა კუშნირთან – 8,5-4,5

• 1972 წელი, რიგა (10 მაისი – 27 ივნისი) – ალა კუშნირთან – 8,5-7,5

• 1975 წელი, ბიჭვინთა – თბილისი (21 ოქტომბერი – 27 ნოემბერი) – ნანა ალექსანდრიასთან 8,5-3,5

პირველად მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში ერთმანეთს ორი ქართველი მოჭადრაკე – ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია დაუპირისპირდა. სწორედ თავის შეგირდთან შეხვედრაზე ოცნებობდა მათი მწვრთნელი ვახტანგ ქარსელაძე, რომელიც 1966 წელს უკურნებელი სენით გარდაიცვალა, მისი ოცნება კი აღსრულდა, ნონას შესახებ შეიძლება ისაუბრო უსასრულოდ, მას ვინ არ იცნობს. რა შეხსენება გვჭირდება, მაგრამ დღევანდელ საქართველოში ყველაფერს ღირებულს ავიწყებენ თაობებს „პატრიოტებად“ გაზრდილ დღევანდელ გოგო-ბიჭებს (მათ მწვრთნელებსაც არ აწყენთ, ზოგი რამ“ იცოდნენ ამ დიდი ღირსეული ქალბატონის შესახებ.

• მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში (1962-1978 წ.წ.);

• საეთაშორისო დიდოსტატი ქალთა (1976 წ.) და ვაჟთა შორის (1978 წ.);

• სპორტის დამსახურებული ოსტატი (1964 წ.);

• საჭადრაკო ოსკარის მფლობელი (1982 წ.);

• საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი (1989–1996 წ.წ.), 1997 წლიდან საპატიო პრეზიდენტი;

• 1997 წელს ფიდეს 68-ე კონგრესზე დაწესდა „ნონას თასი“, რომელიც გადაეცემა ქვეყნის ქალთა და ვაჟთა გუნდებს საუკეთესოს ჯამური შედეგებით;

• 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი;

• უფროსი ასაკის მოჭადრაკეთა შორის (65 წელი) ევროპის 6 გზის და მსოფლიო 6 გზის გამარჯვებული;

• საქართველოს მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალი (ოქროს პრიზი);

• საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (2000–2002 წ.წ.);

• ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარე (1980–1986 წ.წ.);

• 2016 წლის 3 მაისს ქართველმა ხალხმა მას ვარსკვლავი გაუხსნა.

2019 წელს ბათუმში ჩატარებულ საჭადრაკო ოლიმპიადაზე მშვიდობის ელჩის მოვალეობას ასრულებდა, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის და ღირსების ორდენების კავალერს, ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წარმატებისათვის 1996 წელს, ერთდროულად საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების სამი უმაღლესი ჯილდო მიენიჭა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიოს ასოციაციის საპატიო და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ორდენები.

ეს ძირითადი შტრიხებია, სათვალავი არ აქვს საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებას ნონას მიერ მოპოვებული პრიზების, თუმცა ერთი გამარჯვება განსაკუთრებულია და ნახევარი საუკუნე გავიდა, 1971 წლის ბელგრადში 8 მარტისადმი მიძღვნილ ტურნირში სადაც მსოფლიოს 14 გამოჩენილი მოჭადრაკე ქალი მონაწილეობდა, 13 შესაძლებლობიდან 13 ქულა დააგროვა, მანამდე და მის შემდეგაც ეს მიღწევა არავის გაუმეორებია.

მის მიერ მოპოვებულ ჯილდოებს რომ ჩაუღრმავდე სათვალავი აგერევა, სახლში თავის პატარა ოთახში ძვირფასი სამახსოვრო ჯილდოების მუზეუმი აქვს მოწყობილი.

ჭადრაკს ბადალი არ მოეპოვება წმინდა სპორტული თვისებებით, მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ვილჰელმ სტეინიცი ამბობდა: „მადლობა ქალბატონ ნონას ასე შორს რომ გაიტანა ქართული საჭადრაკო სკოლის სახელი. იგი არის ტრადიციული ქართული ოჯახის სანიმუშო დიასახლისი, საუკეთესო თვისებებით გამორჩეული დედა და ბებია. გვირგვინმაც ვერ შეცვალა მისი კეთილშობილური ხასიათი, იგი ხალხის სიყვარულით გამორჩეული გახლავთ. ჩვენ გვყავს ჩემპიონთა ჩემპიონი ქალობაში და უბრალოდ ადამიანობაში, ეს ტიტული მას მისმა უდიდებულესობამ ქართველმა ხალხმა მიანიჭა, იგი თანამედროვე საქართველოს ღირსება და სინდისია“.

2021 წლის 3 მაისს სახელოვან ქალბატონს ნონა გაფრინდაშვილს 80 წელი შეუსრულდა. კეთილსინდისიერება უდიდესი სამკაულია ნებისმიერი ადამიანისთვის, ყველა ადამიანი თავად ირჩევს იაროს ღირსეული გზით და წესად დანერგოს სიკეთის კეთება. ძალიან დიდი სურვილი მაქვს ქართულ ყოფით ცხოვრებაში სიცოცხლის ხანგრძლივობითაც იყოს სამაგალითო ამით უდიდეს სიხარულს მიანიჭებთ საყვარელ ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს და აურაცხელ თავანისმცემლებს.

უფალი გფარავდეთ!

ბეჭან ჩხეიძე
საქართველოს სპორტის
დამსახურებული მოღვაწე
ზესტაფონი
555 41 97 33

მთვარისა კევლიშვილი - ლექსები

ერთ წრეზე

ვტრიალებთ ერთ წრეზე და არ ჩანს საშველი,
ისე დავბეჩავდით და დავპატარავდით...
მოცურავს ღამე, ვით მხსნელი და მაშველი,
ლექსების ფშუტე თუ ხვავრიელ თავთავით.
ამ წრეზე გაივლის ამ ღამის ვნებებიც,
ვერც ნიღაბს მოირგებს და ამკობს არც რიდე...
დაღლილან მთქნარებით ხეები, ბებერნი,
ქარო, ლაზღანდარავ, ნეტავ, ძილს აცლიდე!..
დე, მხაპე, საწუთროვ, ოდესღაც ხომ დამცლი
მე, ფერთა ფიალას, წრეზე თუ წრის გარეთ...
ქარი კი მიყუჩდა, მაგრამ ძილს ვინ გაცლის?
ტურების კივილი მიფხრიწავს სიზმარეთს...

დრო სათქმელს ამბობს...

დრო სათქმელს ამბობს-იმგვარს და ამგვარს-
ხან კი ისე, რომ-გაგეცინება...
თან ჩემი წილი სივრცეც ვერ დამაქვს
და არც ვინმესთან მაქვს შეცილება.
არ მინდა, სევდა შემოვიწოლო,
ვუგანე უკვე მუქ ფერთა გამებს...
ვინც ორგულობით სუნთქავს, წიწოლობს,
ქარს შევატოვე და... სხვა კარს ვაღებ!..
დავტოვე ის გზა და ის გოგონაც,
ნაწნავებ-კიკინ-დალალიანი...
დროის ბორბალი მიგორ-მოგორავს
ბედის ბურთივით, ოხერ-ტიალი.
ვერც იმ ხანაში და ვერც ამჯერად
ნაჩუმათებს ვერ ვეყმე სურვილებს;
დღემდე წესების მე, ვერდამრღვევმა,
ცხოვრებას წინ ვერ გადავურბინე.
რას არ მივცემდი, მალულ კადრების
აელვარება რომ განმეორდეს;
თოვლის პეპლების ერთად აფრენის
შრიალი მეგრძნო რომ ხელმეორედ.
ჟამთა სიმძაფრე ყველა სიმს მილტობს,
ეჰ, ვერ ვეახელ ბიჯითაც კბოდეს...
ებღაუჭება ფოთოლი ხის ტოტს,
ბებერი ყუნწით, რომ არ ჩამოწყდეს...
გულო, ასეც ნუ გადაირევი,
შენ, მითუმეტეს, სულო, რა დაგლევს...
ა, ტანწერწეტა მზესუმზირები
ზეცის უბეში ითრობენ თავებს...

* * *

ქარია ახლა და ხეებს, შიშველთ,
რაის სირცხვილი, უბრალოდ, სცივათ...
ჩაბღუჯული რომ ვყავდი ცას, მიშვებს
ხელებს გულგრილად...უფრორე, ცივად!..
მქონოდა მაინც ერთი ან ორი
ლექსი-პათოსი, ლექსი-ქარიზმა!..
დრო, ჩამოცლილი ვნების ჰორმონი,
თავჩაქინდრული გადის ზამთრის გზას...

და რომ მზე ჩემში შემოვიტყუო...

მერე რაა, რომ სტრიქონზე სტრიქონს
ხმიადებივით სევდით ვაცხობდი...
წვიმის წვეთებმა რა უნდა მიყოს,
უკუვაქციე როცა ღვარცოფი!
ღადარი სუსტად, მაგრამ ელვარებს,
გულისთქმაც თავისას რომ არ იშლის...
მე, ათასერთი ღამის მძევალი,
ვიბრძოდი თითო დღის თუ ღამისთვის.
ვგრძნობდი, მიცავდა ძალა, ზეგარდმო,
ჩემზედ იმედის სხივად ნაფრქვევი
და იმ ყოველი დილის ეშაფოტს
დაუმთავრებელ ზღაპარს ვაფრქვევდი.
მღრღნიდა რაც მავნე, სხივთა არმიამ
ჩაწვა, გაუთბო სახლი და ბინა,
ვით შაჰრაზადამ ომი შაჰრიარს
საკუთარ თავთან წააგებინა!..
ამ გამარჯვებით თავს მხრებზე ვჩემობ,
და ყველა ფერის სურნელს ვაჩნიავარ...
მან შეგიყვარა, ო, მბრძანებელო,
შეგიყვარა და გადაგარჩინა!..
ახლა კეთილად უნდა ვიცრუო,
მაცდურ ბადეში ვისვრი სტრიქონებს...
და რომ მზე ჩემში შემოვიტყუო,
ათასმეორე ზღაპარს ვიგონებ!..

და მაინც...

დაე, წავიდეს
დღე, წასასვლელი,
მოვიდეს ღამე, ფიქრ-
თან დამრჩენი-
რას ვიზამთ, ყოველს
დროის საშლელი
ვერ შლის და
შავ-თეთრ კადრად დარჩების.
დავყურებთ დახლზე ჩამოშლილ ფართალს,
ვარჩევთ და ვარჩევთ...სხვას რას დაგპირდეთ?
არაფერია ახალი აქ და
ძველი ფერებით ვაპურებთ იმედს.
იმედს, ასე რომ ვებღაუჭებით,
არც დაფიქრდება, ყოფა ისე კლავს;
თვალები, ჩვენი უძირო ჭები,
ყველა წამ-წუთის თრთოლვას ირეკლავს.
რაკი ტკივილში ჩავეშვით, ჩავრჩით,
შემოგვეძარცვა ღობე და ყორე,
იმედი, როგორც ობოლი ბავშვი,
თავის უიღბლო ბედს შევატოვეთ.
ჩავუჩმუქრივართ ზვავსა და მეწყერს,
მზემ, მთვარემ, სხივმან გულღრძოდ გვიგანეს
და რადგან ზამთარს ასე შემოვწყერთ,
გაზაფხულზედაც ჯავრი ვიყარეთ.
ჰოდა, ამიტომ ვარდის კოკრიდან
ვერ იდედოფლა ვარდმა მდიდრულად...
სხვის დუ იაქი, ციცქნა, სჯობნიდა
ხშირად ჩვენს დუ შაშს, ასე დიდგულას.
დიდიხანია, ბარბაცებს მზერა
ღამეს შერჩენილ მთვრალი კაცივით...
სრულდება რაღაც, ნელდება მზე და
დღეც, ვნებებისგან დროით დაცლილი...
შეასკდებიან ზეცას ცურებად
მარტი, აპრილი და ასე შემდეგ,
ცის მზესუმზირა შეუცურდებათ
გულისგულებში მამრებს და მდედრებს.
ნათდები, როცა ვიღაცა გლოცავს,
ბნელდები, როცა ჩამოგწყევლიან...
ხან მრუში ისე კდემით დაგმოძღვრავს,
ქმართან რომ წევხარ, ლამის, გრცხვენია...
ა-დან ჰაე-მდე სიგრძის მონაკვეთს
ხვედრითი წილით გავდივართ ყველა,
ვიღაც აკრძალულ ზონას გადაკვეთს,
ვიღაცა ვერ და... კილავს სხვის ფრენას.
ვერ გავთენდით და ისე დავღამდით,
წამოვიტირებთ ერთსაც ამ ღამეს,
რადგანაც წყვილი რკინის ქალამნით
ამაოება ვტკეპნეთ დაღლამდე.
შევნატრით იმას, ცივი გონებით
ვინც გადაცურა ეს ზღვა თუ სრუტე,
თუმც, გვენატრება ის სტრიქონები,
რომ დავიწუნეთ და გადავუგეთ.
ვიქეცით, ნუთუ, იმგვარ ბოგანოდ,
მოვკალით ხვალე, დავწვით წარსული?..
ო, წახდენამდე, ნეტავ, მოვასწროთ
ეკლესიამდე მიტანა სულის!..
დანამდვილებით ჩვენ ვიცით ერთი -
ზოგს არავინ გვყავს და ზოგს ქრისტე გვყავს...
და მაინც სულში ყველას გვსურს ღმერთი
თეიტებსაც და ათეისტებსაც. . .

ოდითგან რაც იყო...

რაც იყო, კვლავ არის, არის და გრძელდება,
არ ცხრება, სანამ არ მოიკლავს ქარი ჟინს...
ვნებათა კოცონი ასკდება კერტებს და
ფოთლებს აშლილი მზე ზეწრებად გაიშლის...
ოდითგან რაც იყო, არის და დარჩება,
ზოგს ამკობს კდემა და ზოგია ავი ზნის...
ჩვენ ამაოების ვიქეცით ხარჭებად
ნებით, უნებურად, თეთრით თუ შავი გზით.
გონება თითს გიქნევს, არაო, ამბობს და
გული კი თავისას ვერც იშლის, არც იშლის...
იქნება, არც ღირდეს ეს ღამე ამბორად
და მაინც სურვილი საკინძეს ჩაიხსნის...
მოხუცი ფიქრობს, რომ სამყარო ბერდება,
ყმაწვილის თვალებში ცუღლუტობს აისი...
ვნებათა კოცონი ასკდება კერტებს და
არ ცხრება, სანამ არ მოიკლავს ქარი ჟინს...

საახლგობო ტრადიციები

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღდგომა სხვადასხვანაირად აღინიშნებოდა. ამ ტრადიციათაგან ბევრი დღემდეა შემორჩენილი.

მაგალითად, ყაზბეგში, სოფელ სნოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია მეორის სამშობლოში ამ დღეს ახალგაზრდა ვაჟთა მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი იკრიბებოდა, რომელსაც სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცი ხელმძღვანელობდა. ჯგუფი მთელ სოფელს მოივლიდა და აუცილებლად სოფლის მცხოვრებთა ყველა ეზოში შევიდოდა. ჭიშკართან ჯგუფის უფროსი ხმამაღლა იძახდა „ქრისტე აღდგა!“, რასაც ახალგაზრდები ჩვეული ქრისტიანული წესით ერთდროულად პასუხობდნენ — „ჭეშმარიტად!“ მოსულთ ოჯახის წევრებიც გამოეგებებოდნენ პასუხით: „ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! შეგეწიასთ იმისი მადლი თქვენცა და მთელს თქვენს ხევსა!“.

ფინეთი – ტოტების კონა და ცეცხლის ალი

სკანდინავიის ქვეყნებში ბავშვები შეღებილი სახითა და რამდენიმე ტოტისგან შეკრული კონით ხვდებიან აღდგომას.

დასავლეთ ფინეთში კი ცეცხლს ანთებენ, რადგან სკანდინავიური ტრადიციის მიხედვით, ცეცხლის ალი ნებისმიერ გრძნეულს დააფრთხობს და აღდგომის დღის კარგად გატარება გარანტირებულია.

პოლონეთი – წყლით გაწუწვა

Smingus-Dyngus ასე ჰქვია პოლონურ სააღდგომო ტრადიციას, რომლის მიხედვითაც პოლონელი ბიჭები წყლით სავსე ჭურჭლიდან სხვების გაწუწვას ცდილობენ. ლეგენდის თანახმად, გოგოები, რომლებიც დასველდებიან, წლის ბოლომდე აუცილებლად იქორწინებენ.

საფრანგეთი – გიგანტური ომლეტი

აღდგომის პერიოდში საფრანგეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქ ჰაუხში გამგზავრებამდე ჩანგლები აუცილებლად მოიმარაგეთ, რადგან ქალაქის მთავარ ქუჩაზე გიგანტური ომლეტი დაგხვდებათ, რომლსაც 4500 კვერცხით ამზადებენ და ასობით ადამიანს უმასპინძლდებიან.

როდესაც ნაპოლეონი თავის ჯართან ერთად სამხრეთ საფრანგეთში მოგზაურობდა, ისინი ერთ პატარა ქალაქში გაჩერდნენ და ომლეტი მიირთვეს. ნაპოლეონმა მოქალაქეებს სთხოვა, მოეტანათ კვერცხები და ყველას ერთად ერთი დიდი და გიგანტური ომლეტი მოემზადებინათ. სწორედ აქედან იღებს სათავეს აღნიშნული ტრადიცია.

საბერძნეთი – ქოთნების გადაგდება

ძველი ქოთნების ფანჯრიდან სროლა ბერძნული სააღდგომო ტრადიციაა, რაც სიმბოლურად რაღაც ახლის დასაწყისსა და გაზაფხულის დადგომას უკავშირდება.

ნორვეგია – კრიმინალური ნოველები

ნორვეგიაში აღდგომის დადგომასთან ერთად ახალ კრიმინალურ ნოველებს კითხულობენ. ტრადიცია 1923 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც მწერლებმა ახალი კრიმინალური ნოველები გაზეთის პირველ ყდაზე დაბეჭდეს, რაც ძალიან კარგი მარკეტინგული გათვლა აღმოჩნდა და გაყიდვებზეც დადებითად აისახა.

იტალია – პაპის სადღესასწაულო მესა

იტალიასა და ვატიკანში პაპი კათოლიკე მორწმუნეთათვის სადღესასწაულო მესას ატარებს, მის მოსასმენად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ათასობით კათოლიკე მომლოცველი ჩამოდის.

ისრაელი – ქრისტეს გზა

ისრაელში ადამიანები იმ გზას გადიან, რომელიც ქრისტემ გაიარა და ჯვარი ზიდა. გზის საბოლოო დანიშნულების ადგილი აღდგომის ტაძარია, სადაც მორწმუნეების აზრით, იესო ჯვარცმის შემდგომ გადაასვენეს.

ვატიკანის „ვირთხის ბილიკები“ - კათოლიკური ეკლესია და ნაცისტები

„ვირთხების ბილიკები“ — ასეთი სახელი დაარქვეს ამერიკის სპეცსამსახურებმა იმ მარშრუტებს, რომელთა საშუალებითაც ვატიკანის დახმარებით ათასობით ფაშისტმა სამხრეთ ამერიკაში გადასვლა შეძლო.

კათოლიკური ევროპა კონფლიქტამდე

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის ის ქვეყნები, რომლებიც ევროპაში პაპის ტახტის ჭეშმარიტ საყრდენად მიიჩნეოდა, ნაცისტური გერმანიის მიმართ ლოიალურები გახდნენ ან მის მოკავშირეებად იქცნენ. იტალიის ხელისუფლებაში ფაშისტური პარტია იყო, რომელსაც მუსოლინი მეთაურობდა, ესპანეთს გენერალი ფრანკო მართავდა, პორტუგალიაში „ახალი სახელმწიფოს“ რეჟიმს გენერალ ანტონიო კარმონამი მეთაურობდა. გერმანიის მოსახლეობის 30% კათოლიკე იყო და ეკლესიას

ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ვატიკანი ფაშისტური რეჟიმის მადლიერი უნდა იყოს, რადგან მისი დახმარებით იქცა სახელმწიფოდ. 1929 წელს კარდინალმა პიეტრო გასპარიმ და იტალიის პრემიერ-მინისტრმა ბენიტო მუსოლინიმ ხელი მოაწერეს ლატერანის კონკორდატს, რომელსაც ფაშისტურმა პარლამენტმაც დაუჭირა მხარი. ხელშეკრულების თანახმად, კათოლიციზმი იტალიის სახელმწიფო რელიგიად აღიარეს, ვატიკანი ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადდა, რომელსაც საკუთარი ტერიტორია და რადიო ჰქონდა და შეეძლო საკუთარი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა.

ჰიტლერისა და ვატიკანის კავშირი

ნაცისტური გერმანია საზოგადოების ახალ მოდელს აშენებდა. ხალხისთვის შეიქმნა წარსულის ნორდისტული გმირების სახეები, რომელთათვისაც უცხო იყო ქრისტიანული მოწყალება და ყოვლის მიმტევებლობა. გერმანიის სამხრეთში, განსაკუთრებით ნაცისტური პარტიის სამშობლოში, ბავარიაში, კათოლიციზმი მძლავრობდა და ჰიტლერმა სიტუაციიდან გამოსავალი იპოვა, რამაც მისი ავტორიტეტი ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზეც ძალიან აამაღლა — 1933 წლის 20 ივნისს ხელი მოეწერა კონკორდატს პაპ პიუს XI-სა და ნაცისტურ გერმანიას შორის. რომლის თანახმად, გერმანიის კათოლიკური პარტიები წყვეტენ პოლიტიკურ აქტიურობას, ეკლესიის უფლებები კი განათლების, ქორწინებისა და მღვდელმსახურთა მოღვაწეობის მხრივ — ფართოვდება.

ომში ვატიკანი ნეიტრალიტეტს იცავდა. ომის დასრულების შემდეგ წმინდა ტახტს ბრალი დასდეს წაგებული რეჟიმებისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო. ვატიკანი ჰოლოკოსტთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოხატავდა, მაგრამ ქმედით დახმარებას უწევდა გერმანელ სამხედრო დამნაშავეებს.

ეპისკოპოს ალოიზ ხუდალის ბილიკი

რომში პიაცა ნავონას მოედანზე განლაგებულია ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის სახელობის ეკლესია, სადაც განთავსებული იყო კოლეჯი გერმანულენოვანი მღვდელმსახურებისთვის. მისი რექტორი იყო ეპისკოპოსი ალოიზ ხუდალი, წარმომავლობით ავსტრიელი და ჰიტლერის მხარდამჭერი. 1927 წელს ხუდალმა მხარი დაუჭირა მესამე რაიხის რასისტულ კანონებს და ამტკიცებდა, რომ ძველი სამყაროს გადარჩენა ნაციზმისა და კათოლიციზმის სიმბიოზშია. ისტორიკოსებმა რობერტ გრემმა და დევიდ ალვარესმა სკრუპულოზურად შეისწავლეს ალოიზ ხუდალის მოღვაწეობა და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის გერმანიის დაზვერვამ გადაიბირა ინფორმაციის მისაღებად და ვატიკანზე გავლენის მოსახდენად. არსებობს 1938 წლიდან გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ხუდალის სახელზე ფულადი გზავნილების დოკუმენტები. 1944 წელს ეპისკოპოსი ხუდალი იმ გერმანულენოვანი პირების კურატორი გახდა, რომლებიც იტალიისა და ვატიკანის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.

თანამდებობას ხუდალი მაღალჩინოსანი ნაცისტების გადასარჩენად იყენებდა.

ეპისკოპოს ხუდალის სქემა

მას შემდეგ, რაც დევნილი იტალიაში აღმოჩნდებოდა, ის ეპისკოპოსს უკავშირდებოდა. მისთვის სხვის სახელზე ფორმდებოდა საბუთები, რომლებსაც ვატიკანის დევნილების დახმარების ორგანიზაცია გასცემდა. ყალბი დოკუმენტების დახმარებით „დევნილი“ იღებდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პასპორტს გადაადგილებული პირისთვის, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში შესასვლელი დოკუმენტების მიღება იყო შესაძლებელი. არგენტინაში, ბუენოს-აირესში დევნილის მიღებაზე პასუხისმგებელი იყო კარდინალი ანტონიო კარჯიანო, რომელსაც პრეზიდენტი ხუან პერონი მფარველობდა. სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ხელმძღვანელები იმედოვნებდნენ, რომ ევროპელი დევნილების გამოცდილებას და ფინანსებს საკუთარი ქვეყნების განვითარებისთვის გამოიყენებდნენ. ხუდალმა აღიარა, რომ 1945 წლის შემდეგ თავს ვალდებულად თვლიდა, საქველმოქმედო საქმიანობა ყოფილი ნაციონალ-სოციალისტების დასახმარებლად მიემართა.

იმ მნიშვნელოვან ნაცისტებს შორის, ვინც ევროპიდან გაიქცა,

არიან: ადოლფ ეიხმანი, რომელსაც ბრალად 4 მილიონი ებრაელის მკვლელობა ედება; იოზეფ მენგელე, საკონცენტრაციო ბანაკ ოსვენციმის ექიმი, რომელიც ცდებს ადამიანებზე ატარებდა; ვალტერ რაუფი, გაზის კამერების შემქმნელი და სხვები.

კრუნოსლავ დრაგანოვიჩის ბილიკი

მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი მოვლენა ხორვატი ფაშისტების მოძრაობა იყო. მათ სინდისზე 197-დან 800 ათასამდე სერბის, 30 ათასი ებრაელის, 80 ათასი ბოშის სიცოცხლეა. ყველაზე მნიშვნელოვანი „ვირთხის ბილიკი“ ფრანცისკანელთა ორდენის ხორვატმა მღვდელმსახურებმა მოაწყვეს. ორგანიზაციას კრუნოსლავ დრაგანოვიჩი ხელმძღვანელობდა, პაპის ინსტიტუტის მდივანი და რომში მნიშვნელოვანი ფიგურა. ქსელის შტაბ-ბინა ვატიკანში მდებარეობდა წმ. იერონიმის მონასტერში. ფრანცისკანელი მღვდელმსახურები ეხმარებოდნენ დევნილებს უკანონოდ შეეღწიათ იტალიაში, აბინავებდნენ მრავალრიცხოვანი მონასტრებიდან ერთ-ერთში და წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით უმზადებდნენ დოკუმენტებს. სისტემის არასრულყოფილების გამო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ვერ ახერხებდა ყველას შემოწმებას, ხოლო გავლენიანი ფრანცისკანელთა ორდენის მიმართ უნდობლობის საფუძველი არ ჰქონდა. დამნაშავეებს გენუის პორტის გავლით სამხრეთ ამერიკაში აგზავნიდნენ. 1946 წელს მოკავშირეები ვატიკანს საეკლესიო ორგანიზაციებში ჩხრეკების ჩატარების ნებართვას სთხოვდნენ. 1945 წლის 6 მაისს ხორვატი ფაშისტების ლიდერმა ანტე პაველიჩმა ზაგრები დატოვა და ავსტრიაში გადავიდა. მას ყალბი დოკუმენტები ჰქონდა. კრუნოსლავის ჯგუფმა ის იტალიაში გადაიყვანა და მონასტერს შეაფარა. მის გამოყენებას სოციალისტურ იუგოსლავიასთან და მის ხელმძღვანელთან იოსიფ ბროზ ტიტოსთან საბრძოლველად აპირებდნენ, რასაც ამერიკის კონტრდაზვერვის აგენტი რობერტ კლეიტონ მუდიც ადასტურებს. 1947 წლის თებერვალში მან შეაღწია წმ. იერონიმის მონასტერში, სადაც ბერების სამოსში ჩაცმული პაველიჩი და სხვა ხორვატი ნაცისტები ნახა. ქალაქში ისინი ვატიკანის დიპლომატიურ-ნომრებიანი მანქანებით გადაადგილებოდნენ. საეჭვოა, რომ პაპმა ყველაფრის შესახებ არ იცოდა. ნაცისტების გაქცევაში ამერიკაც იყო დაინტერესებული. იწყებოდა ახალი დაპირისპირება საბჭოთა კავშირთან და გერმანელი სპეციალისტები ამ ბრძოლაში ნამდვილად გამოადგებოდა. ამერიკულმა დაზვერვამ „ვირთხის ბილიკებით“ საბჭოთა საოკუპაციო ზონიდან გაიყვანა გერმანული სარაკეტო პროგრამის მონაწილე მეცნიერები. გერმანელი, იტალიელი, ხორვატი დევნილების გამოცდილება და ცოდნა გამოადგა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ხელმძღვანელებს. ახალი კადრები კომუნისტ პარტიზანებთან და შიდა ოპოზიციასთან საბრძოლველად გამოიყენებოდა. „ვირთხის ბილიკები“ კათოლიკე პაპების ერთადერთი საიდუმლო როდია. ვატიკანის კედლებში ინახება საიდუმლო არქივი, რომლის გახსნაც კიდევ ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), მთვარისა კევლიშვილი (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

http://www.saertogazeti.ge